საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 185 (215) სამშაბათი, 8 ოქტომბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

სამარცხვინო ფურცელი ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. მაშინ, როდესაც თითქოს ერთიანი ძალით, ერთად შეკრულნი, ერთი საერთო მიზნითა და აზრით შეპყრობილნი მივიწევდით სანუკვარი თავისუფლებისაკენ, სატანამ დაისადგურა ჩვენში...

მრავალ ჭირნახულმა, ამ ბოლო დროს ყველა ჩვენი უბედურების, გაუტანლობის, ღალატის, შურის, ურთიერთქიშპობის მომსწრე და მნახველმა რუსთაველის გამზირმა კიდევ ერთი ბაზალეთი იხილა — ძმათა მკვლელი, დაუნდობელი, ბოროტი შეტაკება. ჯერ კიდევ არ დამცხრალა ვნებათაღელვა, ვეძებთ დამნაშავეს, მტერს, მოღალატეს, ერისგან მოსაკვეთ და ჩასაქოლ პირებს... მოსახდენი კი მოხდა. ეს სირცხვილი დიდხანს გაჰყვება საქართველოს, ჩვენ შეგვაჩვენებს შთამომავლობა.

მოსახდენი მოხდა, მაგრამ რა გველის მომავალში, ესეც გაურკვეველია. ვის მოვკითხოთ ამდენი დაღუპული, რით ვანუგეშოთ გაუბედურებული ოჯახები, დაობლებული ბავშვები... ეტყობა, რაღაც დიდი ცოდვისთვის ვისჯებით...

შეხედეთ ერთმანეთს — როგორი დაუნდობლები გავხდით, ინდიფერენტულებიც, თითქოს არაფერი გვაწუხებს, თითქოს შევეგუეთ ამდენ უბედურებას. ან, იქნებ, დავიღალეთ, ყველაფრისაგან დავიღალეთ და არაფერი გვიკვირს, იქნებ, შიშმაც დაისადგურა ჩვენში?.. ღმერთმა დაგვიფაროს!

შეხედეთ ერთმანეთს, თამამად შეხედეთ ერთმანეთს — იმ წუთებში ეკლესიის ზარები რეკდნენ რუსთაველზე...

შეხედეთ ერთმანეთს, თვალი გაუსწორეთ ერთმანეთს — ჩვენ უნდა დავამარცხოთ ბოროტება, საქართველო გაიმარჯვებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, 4 ოქტომბერი. 21 საათი და 30 წუთი... ამ წუთებში რუსთაველის გამზირი კონტროლიდან გამოსულ, თავაწყვეტილ, ავად ადიდებულ მდინარეს ჰგავს...

ერთმანეთთან პოლიტიკურად დაპირისპირებული ხალხი ახლა ფიზიკურადაც ერთმანეთის პირისპირ დგას...

არავინ უწყის, რა მოხდება — წერდა ჩვენი გაზეთი 5 ოქტომბრის ნომერში.

მოხდა ის, რაც სახიფათო იყო არ მომხდარიყო, თორემ ჩვენი უბედურებით ყველაფერი აქეთ მიდიოდა. ფსიქოზურ მდგომარეობაში მყოფი ორი მხარე ფიზიკურ ანგარიშსწორებას შეუდგა. ხელისუფლების ძალისხმევას ტექნიკით და გვარდიით განემუხტა მდგომარეობა, მხოლოდ სავალალო შედეგი მოჰყვა.

ოფიციალური ცნობებით მხოლოდ ის ვიცით, რომ უამრავი ადამიანია დაშავებული. ფრაგმენტულად კი ამ თვითმხილველების მონაყოლითაც შეიძლება თუნდაც ბუნდოვანი სურათის აღდგენა. ხელისუფლებამ ეს მოვლენა შეაფასა, როგორც შეიარაღებული ოპოზიციის თავდასხმა მთავრობის სახლზე. ხელისუფლების მოწოდებაზე მთავრობის სახლთან შეიკრიბა მრავალი ათასი კაცი, რომლებიც მხარს უჭერენ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტსა და პარლამენტს.

ლაპარაკობენ თვითმხილველები:

ნოდარ მაღლაკელიძე, უნივერსიტეტის თანამშრომელი: დაახლოებით თორმეტის ნახევარზე მივედი. პრეზიდენტის მხარდამჭერები გაცილებით მეტნი იყვნენ. ხალხი პირისპირ იდგა. საოცრად შეურაცხმყოფელი სიტყვები ისმოდა. ორივე მხრიდან იყო ხულიგნური მოქმედებები. მდგომარეობის განსამუხტავად მთავრობის სახლის მხრიდან ორი სახანძრო მანქანა დაიძრა, მეორე მხრიდან ავტობუსები, მისთვის გზის ჩასაკეტად. ერთი სახანძრო მანქანა ოპოზიციის წარმომადგენელთა რიგებში შევიდა. გავეშებული ბრბო თავს დაესხა მას. იყო შეძახილები — ვცემოთ, მოვკლათ ვინც შიგნით არიანო. პირველად სროლის ხმა ოპოზიციის მხრიდან გავიგე, ამ დროს ამავე სახანძრო ავტომანქანიდანაც გაისმა სროლის ხმა, ეტყობოდა ჰაერში ისროდნენ, თავდასაცავად.. სროლის ხმაზე თავდამსხმელები მანქანას ჩამოცილდნენ, რომელმაც წყლის სუსტი ჭავლი გამოუშვა ხალხის რიგებში. შემდეგ კვლავ გავიგე სროლის ხმა და ხალხი სასტუმრო „ივერიის“ მიმართულებით სირბილით დაიძრა. პანიკური სიტუაცია იყო — ამას თვალყურს ვადევნებდი კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობის მიდამოებიდან — ამის შემდეგ რამდენიმე ქალი მანქანით გავიყვანე სამშვიდობოს, მოვბრუნდი და შევესწარი, თუ როგორ მოუწოდებდა ოპოზიცია თავის ხალხს კვლავ შეგროვებისაკენ — ჰაერში ისვრიან, ნუ გეშინიათო. შემდეგ გაზი გაუშვეს, თავი ცუდად ვიგრძენი და უკან გავბრუნდი.

დათო კილასონია, მოქალაქე: ვიდექი პირველი საშუალო სკოლის მიდამოებში. ვესაუბრებოდი ნაცნობებს. შევამჩნიე, რომ მთავრობის სახლის მხრიდან დაეშვა ორი სახანძრო მანქანა, რომელსაც ხალხი გამოჰყვა. მანქანა ხალხში შევიდა. საპირისპირო მხრიდანაც შემოვიდნენ ავტობუსები, რომ სახანძრო მანქანებისთვის გზა გადაელობათ. სახანძრო ავტომანქანების უკან რაღაც კაფსულების მაგვარი სკდებოდა. პირადად მოწამლული არავინ მინახავს, მაგრამ სული მეხუთებოდა. ატეხეს ქვების, ბოთლების და სხვა ნივთების სროლა, შემდეგ გაისმა ტყვიების ხმა. ქალებს საშუალება მივეცით იქაურობას გაცლოდნენ. სროლა შენობების სახურავებიდანაც ისმოდა. მე ვყვიროდი, ნუ გარბიხართ, ჰაერში ისვრიან-თქო, ვგონებ, ტყვიამფრქვევის ხმა იყო. შემდეგ შევამჩნიე „მანათობელი“ ტყვიები, რომელიც ხალხისკენ იყო მიმართული. ერთ-ერთი მოქალაქე ბარძაყში დაჭრილი ჩემს გვერდზე დაეცა. გავიფანტეთ, მაგრამ გარკვეული ნაწილი კვლავ შევგროვდით. მეორეჯერ გაისმა სროლის ხმა, არ დამინახავს, ვინმეს რომ მოხვედროდეს, ვფიქრობ, ჰაერში ისროდნენ ან არასაომარი ტყვიები იყო. დილის 7 საათი იქნებოდა, „ციცინათელასთან“ ვიდექი. ხალხი შეთხელებული იყო. სასტუმრო „ივერიის“ მხრიდან ჯავშანტრანსპორტიორი პირდაპირ ხალხისკენ დაიძრა, ხალხი გაიფანტა. მთავრობის სახლთან მოტრიალდა. იქ გვარდიელები ჩადგნენ ფარებით და ხალხის გასაფანტავად გამოემართნენ...

ნუგზარ ერისთავი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი:

— გვარდია, რომელიც გვიცინავდა მოპირისპირე მხარისგან, ჩვენიდან (ე. ი. ოპოზიციის) რიგებიდან რიგ-რიგობით უეცრად მოგვაშორებდა ხოლმე კაცს, მათ შორის მოხვდა ლევან ღვინჯილიაც...

ავტობუსების და სახანძრო ავტომანქანების შეჯახების შემდეგ სროლის ხმასთან ერთად მთავრობის სახლის მხრიდან შეკრებილმა ხალხმა ქვები და სხვადასხვაგვარი საგნები დაგვიშინა...

სახანძრო მანქანებმა, რაღაც უცნაური წყლის ჭავლი გაუშვეს, ეტყობა გაზი იყო — თვალები ამეწვა. იმ ღამეს მიკროფონში ხმაც გავიგე — ბიჭებო რას შვრებით, თუ ჰაერში ისვრით, ჰაერში ისროლეთ, თუ არა და, მიზანში...

„დისლოკაციის ადგილიდან არ გამოვსულვართ...“

გუშინ დილით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა თენგიზ კიტოვანს, რომელიც თავის შეიარაღებულ ფორმირებასთან ერთად დაბანაკებული არის თბილისის ზღვის რაიონში, პროფკავშირების სასწავლო ცენტრში.

საუბარი 4 ოქტომბერს რუსთაველის გამზირზე მომხდარი პოლიტიკურად დაპირისპირებული ხალხის შეტაკებით დავიწყეთ, რომელსაც მსხვერპლი და რამდენიმე ათეული ადამიანის დაზიანება მოჰყვა.

— ბატონო თენგიზ, რას გვეტყვით ამ ფაქტის შესახებ?

— მოგახსენებთ, არც 4 ოქტომბერს დილით და არც ღამით, შეტაკების დროს, არც ერთი ჩემი გვარდიელი არ გამოსულა დისლოკაციის ადგილიდან. რამდენადაც ვიცი, ხალხში ხმა დაირხა, თითქოს ოთხში დილით, ჩემი რაზმი, ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას დაესხა თავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და კიდევ გავიმეორებ, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ აქ დავბანაკდით, ტერიტორიიდან არ გავსულვართ. თავს არავის ვესხმით და არავის არაფერს ვართმევთ, პირიქით, ჩვენთან მოსახლეობას განუწყვეტლივ ამოაქვს პროდუქტი. მოსანახულებლად ამოდიან გვარდიელების მშობლები და ახლობლები.

— დღეს რადიო „თავისუფლებამ“ გადასცა ფრანს-პრესის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, თითქოს ოპოზიციის შეიარაღებულ ფორმირებებს, თბილისიდან საქართველოს შავი ზღვისპირეთისაკენ მიმავალი მაგისტრალი გადაუკეტავთ. ამავე დროს, „თავისუფლებამ“ ისიც აღნიშნა, რომ ჯერჯერობით სხვა საინფორმაციო საშუალებებით ეს ცნობა არ დასტურდება. თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?

— გიპასუხებთ, რომ გადაკეტილი მქონდა თბილისის ზღვის მიდამოებში ჩვენსკენ მომავალი გზა, რომელიც 7 ოქტომბრის დილისათვის გავხსენი. გზის გადაკეტვა გამოიწვია იმან, რომ სანამ ამ პიკეტირებას მოვაწყობდით, ჩვენს ბანაკთან დიდი სისწრაფით ჩაიქროლა ორმა მსუბუქმა ავტომანქანამ, რომლებმაც დაგვაყარეს ავტომატის ჯერი. მე ვფიქრობ, მათ უნდოდათ ჩვენი პროვოცირება და ამიტომ დავაყენეთ პიკეტი. ასე რომ, მე სხვა პიკეტირებაზე არაფერი ვიცი.

— ბატონო თენგიზ! ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ თქვენ და ბატონი ზვიად გამსახურდია თანამებრძოლები იყავით, უფრო მეტიც — დიდი ხნის მეგობრები. რამ გამოიწვია თქვენს შორის ურთიერთობის გამწვავება?

— დიახ, მე და ზვიადი მეგობრები ვიყავით. პირადად მე მისი პრეზიდენტობიდან გადაყენებას არ მოვითხოვ თუ ის ყველა ჩვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ალბათ, კვლავ ერთად ვიმსახურებთ საქართველოს საკეთილდღეოდ. ვთვლი, რომ იგი ერთპიროვნულად წყვეტს ერისათვის საჭირბოროტო საკითხებს. აუცილებელია მისი, როგორც პრეზიდენტის უფლებების ნაწილობრივ შეკვეცა. ისე, როგორც სხვა ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებშია. ჩვენი მოთხოვნები ცნობილია — უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადადგომა, პოლიტპატიმრების განთავისუფლება, პრესისა და რადიო-ტელევიზიის თავისუფლება.

— ვის გულისხმობთ პოლიტპატიმრებში?

— გია ჭანტურიას, გიორგი ხაინდრავას, აგრეთვე დაჭრილ გვარდიელებს ტარიელ აბუაშვილს და ზურა აფხაზავას, რომლებიც თელასთან სროლების შემდეგ პირველ საავადმყოფოში მოხვდნენ. მათი ადგილსამყოფელი დღემდე დაუდგენელია ჩვენთვის.

ესაუბრა
თემურ ბურდილაძე

რეპლიკა

რა ქნას რეპორტიორმა?

არის ერთი ცნება — პროფესიული მოვალეობა. არ ვიცი სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ ჟურნალისტისათვის ეს ყველაფერზე მაღლა დგას. გახსოვთ, „გაზეთში ორი სტრიქონისათვის...“ მხოლოდ თუ საქმე ეხება ფოტოგრაფიას, რომლის გადაღება ზოგჯერ გაცილებით ძნელია, ვიდრე ნონპარელით აწყობილი იმ ორი სტრიქონის დაწერა? ცოდვა აღიარებული სჯობია. და ის სტრიქონები ზოგჯერ კაბინეტში, ტელეფონის საშუალებით იწერება ხოლმე. უკვე ისწავლეს და ახლა ფოტოსურათს ნებისმიერ მანძილზე სატელეფონო კაბელით გადასცემენ, მაგრამ მთავარია მისი გადაღება...

რთულ დროში ვცხოვრობთ, მძიმე დღეებს განიცდის მთელი რესპუბლიკა. დღისით თუ ღამით არ წყნარდება პოლიტიკური დავა რუსთაველის პროსპექტზე — თავისუფლების მოედნიდან კინოს სახლამდე. და აქ, სადაც აღგზნებული ადამიანები ბობოქრობენ, მუშაობენ და თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ საქინფორმის ფოტოკორესპონდენტები. მერწმუნეთ, ზოგჯერ თავიანთი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკითაც კი. ხოლო ფირზე აღბეჭდავენ ყოველგვარი მაღალფარდოვანი სიტყვების გამოუყენებლად თვით ისტორიას, ფოტოსურათებს იღებენ ბარიკადების ორივე მხარეს და ორივე მხრიდანაც... ხვდებათ!

რა ქნას რეპორტიორმა, როგორ აუხსნას ამდენ ხალხს, რომ ისინი თავიანთი საკუთარი სიამოვნებისთვის და კაპიკიანი ჰონორარისთვის როდი იღებენ. მათი ფოტოები — ეს არის დოკუმენტები, ეს არის ჩვენი ცხოვრების მატიანე...

მაშ ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ იყავით შემწყნარებელი „ლეიკითა და უბის წიგნაკით“ შეიარაღებული ადამიანის მიმართ. იგი ობიექტურია, მომიტევეთ კალამბურისათვის, ისევე, როგორც მისი ობიექტივი.

ალბერტ ალექსიძე,
საქინფორმის კორ.

უბედური შემთხვევები თუ...

სამტრედია, საქინფორმის კორესპონდენტი მაკა კილაძე. შვიდ ოქტომბერს, დილის ოთხ საათსა და ორმოცდაათ წუთზე, კოპიტნარ-სამტრედიის გადასარბენზე სარკინიგზო ლიანდაგს ასცდა სამგზავრო მატარებელი ნომერი 14 მოსკოვი-თბილისი, რომელიც აგარასთან მიმდინარე პიკეტირების გამო ამიერკავკასიის რკინიგზის ამ მონაკვეთზე საგრძნობი დაგვიანებით შემოვიდა.

საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. მეტ-ნაკლებად დაშავდა ათამდე მგზავრი, რომლებსაც ოპერატიულად აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. დანარჩენი მგზავრები გადაიყვანეს სამტრედიაში, საიდანაც ისინი მარშრუტის მიხედვით გაემგზავრებიან.

ავარიის შემთხვევის ადგილზე ამჟამად მიმდინარეობს საშველ-აღდგენითი სამუშაოები. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ერთი მიმართულებით მოძრაობა უახლოეს საათებში აღდგება.

შექმნილია საგანგებო კომისია, რომელიც იკვლევს ავარიის მიზეზებს, მანამდე კი შაბათს, 5 ოქტომბერს, დაახლოებით დღის პირველ საათზე, სამტრედიის პრეფექტურის შენობაში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც ერთდროულად რამდენიმე ოთახში იფეთქა. ოპერატიულად მოსულმა სახანძრო რაზმებმა შეძლეს ხანძრის ჩაქრობა. მიმდინარეობს გამოძიება.

მოძრაობა განახლდა

როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ოლეგ ბიჭიაშვილმა გვაცნობა, 6 ოქტომბრის 23 საათსა და 30 წუთზე სადგურ აგარიდან მატარებლების მოძრაობა განახლდა. 9 საათის განმავლობაში გზის ამ მონაკვეთზე იდგა მერაბ კოსტავას სახელობის საზოგადოების შეიარაღებულ წარმომადგენელთა პიკეტი.

საქინფორმი

ჩვენ „ყვავილები“ უკვე გვესროლეს...

რეპორტაჟი რუსთაველის გამზირიდან.

5 ოქტომბერი, დილის 6-ის ნახევარი...

შუაღამით ისევ დაიწყეს მეგაფონიანი მანქანებით ქალაქის გაღვიძება: რუსთაველზე მშვიდობიანი მიტინგი ავტომატის ჯერით დაარბიეს, გარეთ გამოდით, გვესვრიანო...

თბილისს ჯერაც სძინავს — დაღლილს, გაწამებულს, გულში მჯიღჩაცემულს. ნელ-ნელა მანქანები მატულობენ — საბურთალოდან, ვაკიდან — რუსთაველისაკენ.

დილის 6-ის ნახევარია. ტაქსის მძღოლი შეშფოთებული გამომეტყველებით მეუბნება, რომ მძიმე ღამე ჰქონია თბილისს.

— იცი, რა საშინელი სროლა იყო. ტყვიები მანქანის სახურავზე გადადიოდა. დაჭრილი ბიჭი გამოვიყვანე. ძლივს გავასწარი. ნახე, უკან მინები აღარ მაქვს...

რუსთაველის გამზირი... მე მახსოვს იგი 9 აპრილის დილით. დაახლოებით იგივე სურათია ახლაც — დაჭეჭყილი მანქანები, ნაგავი, აყირავებული ურნები, გაზეთების გროვა, ვიღაცის სათვალე, ჩანთა და ცალი ფეხსაცმელი. გამზირზე მცხოვრებნი შიშით, ფრთხილად იყურებიან ფანჯრებიდან. მინები თითქმის ყველგან ჩალეწილია.

— რა მოხდა? — ვეკითხები სახეშეშლილ ქალს. ხელით მანიშნებს, წადიო, და უმინო სარკმელს ხურავს.

როგორც იქნა, რუსთაველის თეატრთან ხალხი გამოჩნდა. წინ მივიწევ. „თბილისთან“ ბაღში შესული მამაკაცები დგანან. ვიყურები მთავრობის სახლისკენ და თვალებს აღარ ვუჯერებ — ავად მზირალი ჯავშნოსანი ლულას დაბლა სწევს და გვიმიზნებს. ჯავშნოსანს ახლავან მუზარადიანი, ლაპლაპფარიანი პირები. ხელკეტებს დროდადრო ფარებზე არახუნებენ. „ოპოზიციას“ რაღაც ასიოდე კაცი შემორჩენია: ახალგაზრდა ბიჭები, რამდენიმე ქალიშვილი, ძირითადად შუა ხნის მოქალაქენი — შვილებს დაეძებენ.

სასტუმრო „თბილისის“ ვესტიბიულთან დგას ჩემი რამდენიმე კოლეგა. ერთი მათგანი წუხანდელ ამბავს მიამბობს. მშვიდობიანი ხალხი ორჯერ დაარბიეს — სახანძროთი, ცრემლსადენი გაზით და მერე ჰაერში განუწყვეტელი სროლით.

— ჩემს წინ ფინელი კინოოპერატორები მუშაობდნენ. მე მათ ამოვეფარე. მათთვის ხელი არ უხლიათ. მომვარდნენ შეიარაღებული ბიჭები, აპარატი გამომგლიჯეს და მიწაზე დაანარცხეს. მე რუსულად ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვარ. ცემით აღარ მცემეს, დამტვრეული აპარატი თან წაიღეს.

აღელვებულ თანამოსაუბრეს ვტოვებ და წინ მივიწევ, გალერეისკენ. მთავრობის სახლიდან მეგაფონით ნაცნობი ხმა მესმის: „ჯერ არ ისროლოთ“ — ეს ფრაზა ჩამესმის და ადგილზე ვიყინები. უკან ვბრუნდები. დარბეული მიტინგის გამზირს შემორჩენილი ნაწილი მორიგი შეტევის მოსაგერიებლად ემზადება — ბიჭები ქვებს იმარაგებენ. თეატრის მხრიდან ორი-სამი სატვირთო მანქანა გამოჰყავთ და „თბილისის“ წინ გზის ჩახერგვას აპირებენ. გამზირის პერპენდიკულარულად დგება ორი მანქანა. ამ დროს ჯავშნოსანი სწყდება ადგილს და მთელი სისწრაფით ჩვენსკენ მოექანება, უკან სახანძრო მოჰყვება. ჩვენ „თბილისის“ შენობაში შევრბივართ. ავდივართ მეორე სართულზე. შეშინებული თანამშრომლები კარს გვიღებენ, გავდივარ მეორე სართულის აივანზე. იქიდან ვხედავ, ჯავშნოსანი ეჯახება ჯერ ერთ სატვირთოს და ტროტუარზე აგდებს მას, შემდეგ აზიანებს მეორეს, მესამეს. დაჭრილი ბიჭი საყვავილესთან ვარდება. გოგონები მაღლა ქუჩაზე მიათრევენ. ჯავშნოსანი გამზირის მიმართულებით ხსნის ცეცხლს. ჩემი კოლეგა იღებს რამდენიმე კადრს. ესვრიან ჩვენს აივანს. შენობის სვეტის ნამსხვრევები ოთახში ცვივა. ჩავრბივართ ვესტიბიულში. უცნობი მამაკაცი კარს აღებს. ამ დროს ტყვია ხვდება მორიგ სვეტს და ცემენტის ნამსხვრევებით სახედაჭრილი კაცი უკანვე შემორბის. სახეზე სისხლი ღვარად ჩამოსდის. არა გვაქვს არც სახვევი, არც ბამბა.

ვესტიბიულიდან კარგად ჩანს, ასფალტიდან ასე, 50 სანტიმეტრის დაშორებით გასროლილი ტყვიების ჯერი.

უცხოელები იღვიძებენ და, ნომრებს ტოვებენ, თავისუფლად უშიშრად მიმოდიან სართულებზე, მე, სართულის მორიგე, ჩემი კოლეგა და ერთი უცხოელი მესამე სართულის ჰოლში ვსხდებით. ამოდის ახალგაზრდა მილიციელი იარაღით ხელში, მას მოჰყვებიან ავტომატიანი გვარდიელი, სამოქალაქო პირი — შავი ხელყუმბარით ხელში, რომელიც უცხოური კონიაკის ბოთლს წააგავს. ისინი დაეჭვებულები არიან, სხვენში ხომ არ არის ვინმე; გვეუბნებიან, რომ სახურავიდან ისვრიან; ჩვენ ვუხსნით, რომ ჩვენს იქ ყოფნაში მაღლა არავინ ასულა. ისინი გვთხოვენ, არ გავინძრეთ და ფანჯრებთან არ მივიდეთ. შეიარაღებული ბიჭები სხვენს ამოწმებენ, რომლის ასასვლელიც დაკეტილი ხვდებათ და ისევ ქვემოთ ეშვებიან.

სროლა კანტი-კუნტად ისმის. ისევ ქვემოთ, ჰოლში ჩავდივართ, ახალგაზრდები ახლა საბუთებს ამოწმებენ. ერთ-ერთი მათგანი თავაზიანად მართმევს პირადობის მოწმობას, ასევე თავაზიანად მთხოვს, გავხსნა ჩანთა და ჩემი ხელით ამოვალაგო ყველაფერი. ვიღებ წიგნაკს, დიქტოფონს და ფოტოაპარატს. ახალგაზრდა ცალ ხელში ჩემს ნივთებს აგროვებს, მეორეში იჭერს იარაღს, ხელყუმბარას და მთხოვს, გავყვე. მე ვცდილობ ავუხსნა, რომ უზენაესი საბჭოს გაზეთის წარმომადგენელი ვარ — ჟურნალისტი, და არ შეიძლება ვიყო საეჭვო პირი. იმასაც ვაღიარებ, რომ გარეთ გასვლაც მეშინია. მპირდება, რომ არავინ მაწყენინებს, მიმეორებს, რომ წასვლა აუცილებელია.

„ოპოზიციის“ მხრიდან დაუბრკოლებლად, ერთობ საიმედო დაცვის თანხლებით გადავდივარ ბარიკადების მეორე მხარეს.

ვერაფრით აგიხსნით, რა დანიშნულება ჰქონდა ჩემს ამგვარ დაპატიმრებას, ბატონ დილარ ხაბულიანთან მიყვანას და შემთხვევით შეხვედრას ბატონ პრეზიდენტთან. მე ძალიან მინდოდა, მესარგებლა ამ შემთხვევით და მეუწყებინა მისთვის, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მდგომ უიარაღო ადამიანებს დილის ექვსი საათიდან ყვავილების ნაცვლად ტყვიებს უშენდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მომეცა, ჩემთვის იქ არავის ეცალა. ყველასგან დავიწყებულმა ამჯერად უდაცვოდ დავტოვე უზენაესი საბჭოს შენობა.

...საღამოსთვის რუსთაველის გამზირი ისევ დაიკავეს პრეზიდენტის მხარდამჭერებმა. რამდენიმე თვითმხილველის თქმით, დადიოდნენ სატვირთო მანქანები და გამზირზე საეჭვო პირებს აპატიმრებდნენ.

რუსუდან ნიკურაძე,
ვლადიმერ მაჩაბლის ფოტოები.



ხიდი

საქართველო-ფინეთი: კავშირი გულთა შორის

სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ ჩვენს სტუმრებს — ფინეთ-საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტს ქალბატონ აილა ნიინიმაა-კეპპოსა და ამ საზოგადოების წევრს, ლაპლანდის უნივერსიტეტის პროფესორს ქალბატონ სოილე ჰაარალას, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას ეწვივნენ ჰელსინკის კავშირის წევრის, ფინეთში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წარმომადგენლის ბატონ რენო სირაძის ინიციატივით. საქართველო-ფინეთის საზოგადოებაში შეხვედრისას ამ საზოგადოების პრეზიდენტმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა, მწერალმა ამირან კალაძემ სტუმრებს საჩუქრად გადასცა თბილისში გამოცემული ფინური პოეზიის მცირე ანთოლოგია, რომლის ქართული თარგმანიც მასვე ეკუთვნის.

საქართველო-ფინეთის საზოგადოების გამგეობის წევრთა შეხვედრაზე ფინელ სტუმრებთან და ბატონ რენო სირაძესთან გაიმართა საქმიანი საუბარი სამომავლო გეგმების, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარების, კულტურული და ეკონომიკური კავშირის გაღრმავების, ორ, მართლაც მოძმე ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცების თაობაზე.

ჩვენ ინტერვიუ ვთხოვეთ ბატონ ამირან კალაძეს:

— ჩვენი ფინელი კოლეგები ფრიად საპატიო მისიით ჩამოვიდნენ საქართველოში. მაშინ, როცა კრემლმა საინფორმაციო ბლოკადაში მოგვაქცია, სწორედ ეს ადამიანები ბატონ რენო სირაძის ხელშეწყობით იყვნენ მსოფლიოსათვის საქართველოში მიმდინარე პროცესების ობიექტური ინფორმაციის მიმწოდებლები. ამისათვის მათ ქართველი ერისაგან მადლობა ეკუთვნით. მადლიერები ვართ იმის გამოც, რომ საქართველოსადმი თვიანთი სიყვარული მათ პრაქტიკული საქმეებით გამოავლინეს — შექმნეს ფინეთ-საქართველოს საზოგადოება.

ამ დიდებულ წამოწყებას ჩვენც მივბაძეთ და ცოტა ხნის წინათ თბილისში დავაარსეთ საქართველო-ფინეთის საზოგადოება. ეს კეთილი საქმე ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდი მხარდაჭერით გაკეთდა. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა მიმდინარეობს საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის საგამომცემლო ცენტრში, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ. სწორედ ამ დაწესებულებაში ვაპირებთ გავხსნათ ფინური ენის შემსწავლელი წრე, გამოვცეთ ერთობლივი თარგმანები. ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ საქართველო-ფინეთის საზოგადოების წესდებას, და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოების წევრები ხელს შეუწყობენ ამ მეტად სასარგებლო საქმეს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ საზოგადოების შექმნაში დიდი წვლილი უძევს ბატონ რენო სირაძის დედას — ქალბატონ ეთერ ალიბეგაშვილს, და ეს ბუნებრივიცაა: მისი შვილი ხომ ფინეთის შვილობილია. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ სწორედ ფინეთია პირველი ქვეყანა, რომლის პარლამენტშიც შეიქმნა საქართველოს მხარდამჭერი ჯგუფი. ჩვენი აზრით, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს იმას, რომ ფინეთის პარლამენტმა იურიდიულად ცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა.

დღეს, როცა ჩვენს სამშობლოს არ აკლია [illegible] თუ გარეშე მტერი, ორმაგად სასიხარულოა, რომ მარტო [illegible] მთასა და ცხრა ზღვის [illegible] მოდიან საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები. რომლებსაც ზუსტად ესმით საქართველოს გულის ძგერა, შეუმცდარად ხედავენ სიმართლეს და მათი პოლიტიკური და ადამიანური დამოკიდებულება, სწორედაც რომ, ჩვენი მხრიდან ქებას იმსახურებს. თუმცა, მე, როგორც ამ ხალხთან მრავალწლიანი კონტაქტების მქონე ადამიანს, სრულებით არ მაკვირვებს ფინელთა ობიექტურობა, რამეთუ, როგორც აღვნიშნავდით ჩვენი საზოგადოების მიმართვაში ფინეთის პარლამენტისადმი, სწორედ თავისუფლებისმოყვარე მცირერიცხოვანმა ფინელმა ხალხმა მისცა მსოფლიოს კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება თავდაუზოგავი შრომითა და ბრძოლით დაუსხლტე მრავალრიცხოვან დამპყრობელს. ჩვენს მიმართვაში მათ მადლობას ვუხდით ამ მაგალითისთვის. ერთადერთი, რაზეც მწყდება გული, ის არის, რომ სტუმრების ჩამოსვლა დაემთხვა ჩვენი ბედკრული ისტორიის განმეორებას, და მრცხვენია, რომ ისინი მოწმენი არიან ჩვენი ეროვნული უთანხმოებისა, როგორ ესვრის ტყვიას ქართველი ქართველს...

თავისი აზრი გაგვიზიარა ქალბატონმა აილა ნიინიმაა-კეპპომ; ფინეთ-საქართველოს საზოგადოება 1989 წლის 26 აპრილს შეიქმნა. მისი შექმნის იდეა გვიკარნახა საქართველოში 9 აპრილს დატრიალებულმა ტრაგედიამ. მე იმ საბედისწერო დღეებში თბილისში გახლდით. მაგრამ, როცა შემდგომ გაზეთებში წავიკითხე ინფორმაცია თბილისის ამბებზე, სულით ხორცამდე შემძრა მათმა მიკერძოებამ, ფაქტების გაყალბებამ. მე ხომ ყველაფრის თვითმხილველი ვიყავი... ძალიან აღვშფოთდი... ბატონმა რენომ და მე დიდხანს ვითათბირეთ, რა უნდა გვეღონა იმისათვის, რომ გაგვექარწყლებინა ეს სიცრუე. გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ფინეთ-საქართველოს საზოგადოება, რომლის მიზანი, როგორც ბატონი ამირანი ბრძანებს, გახლავთ ის, რომ ითქვას სიმართლე საქართველოზე, მეგობრული ურთიერთობა და მხარდაჭერა არ მოვაკლოთ ქართველ ერს, რომელიც თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვის.

მერი გაბრიაძე,
საქინფორმის კორესპონდენტი

რა მოხდა № 1 საგამოძიებო იზოლატორში?

ოპოზიციური ძალების ფიზიკური განადგურების მორიგი მცდელობა — დასდო ბრალად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ. ეს მან განაცხადა 5 ოქტომბერს ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ქალაქის № 1 საგამოძიებო იზოლატორში, სადაც მიმდინარე წლის 16 სექტემბრიდან იმყოფება წინასწარ პატიმრობაში. ჟურნალისტებთან შეხვედრის მოთხოვნა იყო ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი ამბოხების დღეს შექმნილი პატიმართა საგაფიცვო კომიტეტის მოთხოვნებისა, რომლებიც წაუყენეს ციხის ადმინისტრაციას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან საუბარში მონაწილეობდნენ აგრეთვე ასევე წინასწარ პატიმრობაში მყოფი კინოოპერატორი გიორგი ხაინდრავა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის ვახტანგ ტალახაძის ძმა — თემურ ტალახაძე. პროტესტის ნიშნად საქართველოს ტელევიზიას უარი ეთქვა შეხვედრაში მონაწილეობაზე.

განცხადების საფუძველი, როგორც აღნიშნა გიორგი ჭანტურიამ, მას მისცა 5 ოქტომბერს იზოლატორში მომხდარმა პატიმართა ამბოხებამ.

— დილით, — თქვა მან,—7 საათსა და 30 წუთზე მე-5 კორპუსიდან მასობრივად დაიწყო საკნების კარების მტვრევა და გაღება. დაუდგენელი პირები პატიმრებს მოუწოდებდნენ, რომ ციხის გარეთ არის ომი, ხალხი მოითხოვს მათ განთავისუფლებას, რომ ზუგდიდის, ბათუმის ციხეებიდან პატიმრები უკვე გაიქცნენ. სულ რამდენიმე წუთში თითქმის 1.500 პატიმარმა მოიყარა თავი მთავარ გასასვლელთან და ლამობდა ციხის სარეჟიმო ტერიტორიაზე გაჭრას. ამბოხების ინიციატორები „პოლიტიკურების“ და „ქურდების“ სახელით მოუწოდებდნენ არასრულწლოვნებს გასასვლელისაკენ გასძღოლოდნენ — „თქვენ არ გესვრიანო“. ამ დროს ჩვენ საკნებში ვიყავით ჩაკეტილი და გარეთ გამოსვლის საშუალება არ გვქონდა. ეჭვი დაგვებადა. რომ ეს აქცია მიმართული იყო ჩვენს წინააღმდეგ, სიტუაცია გავარკვიეთ „კანონიერ ქურდებთან“, რომლებმაც ჩვენთან კონტაქტი დაამყარეს, და მათთან ერთად მოვუწოდეთ ამბოხებულ პატიმრებს საკნებში დაბრუნებულიყვნენ. ავუხსენით, რომ გაქცევის მცდელობას დიდი სისხლისღვრა მოჰყვებოდა, ვინაიდან შეიარაღებული სპეცნაწილები უკვე მომზადებული იდგნენ მთავარი გასასვლელის წინ... საბედნიეროდ, პატიმრები გვენდნენ. ყველა დაბრუნდა თავის საკანში, თვით სიკვდილმისჯილებიც კი, რომელთაც დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ. ამ წუთისათვის ციხეში სიტუაცია სრულიად მართვადია.

მომხდართან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ შემდეგი: ფაქტები ადასტურებენ, რომ დღეს ციხეში ჩაფიქრებული იყო დიდი პროვოკაცია, ინსპირირებული გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების მიერ, რადგან პრეზიდენტი ყველა საშუალებით ცდილობს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების კომპრომეტირებას და ფიზიკურ განადგურებას, ამის ერთ-ერთი მაგალითია თვითმფრინავში ჩემი დაპატიმრების ამბავიც. ბეწვზე ვართ გადარჩენილი. რომ არ აღკვეთილიყო ამბოხი ციხეში, მოხდებოდა მასობრივი სისხლისღვრა, რომლის დროსაც ჩვენც ჩაგვხოცავდნენ. დაერქმეოდა ამას „პოლიტიკურების“ ალიანსი „ქურდულ სამყაროსთან“ „პუტჩისტებთან“ შეერთების მიზნით. ახლა უკვე გარკვეულია, რომ ამბოხი დაიწყეს ფრიად საეჭვო წარსულის მქონე ხალხმა — 101-ე საკნის პატიმრებმა — შინაგან საქმეთა ორგანოების ყოფილმა თანამშრომლებმა. ისინი უკვე იზოლირებული არიან ციხის ადმინისტრაციის მიერ.

საგაფიცვო კომიტეტმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიტუაციის სტაბილიზაციაში, ციხის ადმინისტრაციას წარუდგინა პატიმრების საერთო მოთხოვნები: ჟურნალისტებთან შეხვედრის მოწყობა, დღევანდელ პროვოკაციას წამოგებული პატიმრების დაუსჯელობა, ციხის რეჟიმის შეცვლა, უდანაშაულოდ დაჭერილი პატიმრების განთავისუფლება, დიალოგის გზით პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტა, პრეზიდენტის გადადგომა და დიქტატურის ლიკვიდაცია. საზოგადოების ყურადღება გვინდა მივაპყროთ ციხეებში პატიმრების საშინელ მდგომარეობას. ამ სისტემაში ჯერ კიდევ ბატონობს ლენინურ-სტალინური მეთოდები, სასტიკად აწამებენ და სცემენ ძიებაში მყოფ პატიმრებს, მრავლად არიან შეთითხნილი ბრალდებით დაჭერილნი, პატიმრები ცხოვრობენ არაადამიანურ პირობებში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გააკეთა განცხადება საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებაც. მან თქვა, რომ საქართველოში ბატონობს ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც დიქტატურისაკენ მიჰყავს ერი. ამ რეჟიმის ლოგიკური შედეგი ცხადია: საქართველო ორად გაიხლიჩა. მაგრამ შეუძლებელია ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდეს. დიქტატურის დღეები საქართველოში დათვლილია და პრეზიდენტმა ყველა ჩვენგანი რომ გაანადგუროს და ოპოზიციის ადგილას სისხლის გუბეები დატოვოს, მას არსებობის სულ რამდენიმე კვირა თუ დარჩენია. გამსახურდიამ კარგად იცის, რომ იგი ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს, ამიტომ სისხლიან პროვოკაციებსაც კი არ ერიდება. თუ იგი დარჩება ამ პოსტზე, სისხლისღვრა უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს. საქართველოში დღეს მიმდინარეობს არა სამოქალაქო ომი, არამედ საზოგადოების ერთი ნაწილის გენოციდი, რომელსაც თავისი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელს უწყობენ მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება, საქართველოს რადიო და ტელევიზია, ისინი ავრცელებენ ხმებს, რომ ჩვენ ვართ შეიარაღებული ბანდები. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დემოკრატიულ ოპოზიციას იარაღი არა აქვს. ჩვენ მხარეს არც ერთხელ არ გამოუყენებია იარაღი, არც ორ სექტემბერს და არც დღეს დილას. 2 სექტემბრის მიტინგის დარბევის ვიდეოფირზე ნათლად ჩანს ორი პიროვნება, რომლებიც მომიტინგეების მხრიდან ისროდნენ იარაღს. ორივეში ჩვენ ამოვიცანით გადაცმული, შემოგზავნილი ომონელები. პრეზიდენტს შეიარაღებული ებრძვიან არცთუ ცოტა ხნის წინათ მისი ერთგული ეროვნული გვარდიის ნაწილი და მერაბ კოსტავას საზოგადოება, რომელიც მმართველი ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ წევრია. ასე რომ, დიქტატორის წინააღმდეგ „მრგვალი მაგიდაც“ კი შუაზე გაიყო. პრეზიდენტმა ამ განხეთქილების მიზეზი საკუთარ პოლიტიკაში უნდა ეძებოს.

ჩვენი ბრძოლა კი გაგრძელდება, ბრძოლა უიარაღოდ, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

* * *

საქინფორმის კორესპონდენტებმა 5 ოქტომბერს № 1 საგამოძიებო იზოლატორში მომხდარი ინციდენტის შეფასება სთხოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელის სამართლის სასჯელთა აღმასრულებელი სამმართველოს უფროსს მერაბ რაფავას.

— ჩემი ღრმა რწმენით, — განაცხადა ბატონმა მერაბმა, — პატიმართა გაქცევის მცდელობა განაპირობა რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ. დამნაშავეთა სამყარო ყოველთვის ცდილობს ისარგებლოს საერთო არეულობით. გაქცევის მცდელობა მოახდინა 101-ე საკნის პატიმრებმა — ყოფილმა მილიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც თბილისში შექმნილ ვითარებას სწრაფად აუღეს ალღო და შეეცადნენ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ იგი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამბოხების ორგანიზებაში ეგრეთ წოდებული პოლიტიკური პატიმრების ხელი არ ურევია. დღევანდელი სიტუაციის სტაბილიზაციაში სწორედ მათ შეასრულეს უდიდესი როლი. შეიძლება ითქვას, რომ მათ სასწაულებრივი ზემოქმედება მოახდინეს ამბოხებულ პატიმრებზე, დააწყნარეს და დაარწმუნეს ისინი დაბრუნებულიყვნენ თავიანთ საკნებში. გიორგი ხაინდრავამ სახურავზე აჭრილი 200-მდე პატიმრის ჩამოყვანაც კი შეძლო. რომ არა მათი აქტიური ჩარევა, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა სისხლისღვრის თავიდან აცილება. ამჟამად მდგომარეობა სტაბილურია, ყველა პატიმარი თავის ადგილზეა.

მაია ალუდაური,
ნინო თათრულაიძე,
საქინფორმის კორესპონდენტები.

რედაქციისაგან: ჩავხედით, გასაგებია ბატონ გიორგი ჭანტურიას მიერ სიტუაციის შეფასება, ეს არავისთვის არის მოულოდნელი, მაგრამ მისი მხრიდანაც კი არ არის კორექტული რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი ასეთი ბრალდებების მიყენება...

მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის საგანგებო სხდომამ. მასში მონაწილეობს უზენაეს საბჭოში არსებული ყველა ფრაქცია.

მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, გამოიკვეთა კეთილი ნება, რომელიც შეიძლება გახდეს ურთიერთშეთანხმებისა და მდგომარეობის პოლიტიკური საშუალებებით განმუხტვის საფუძველი.

უზენაესი საბჭო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს გამოიჩინონ პასუხისმგებლობის გრძნობა და თავი შეიკავონ ყოველგვარი ძალისმიერი მოქმედებისაგან. იგი მიმართავს საქართველოს მთელ მოსახლეობას განიმსჭვალოს ერთიანობისა და მშვიდობის ინტერესებით. ეროვნული თანხმობის მიღწევა დღეს მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყველა ფრაქცია, ყოველი დეპუტატი გამოთქვამს სრულ მზადყოფნას ყველაფერი იღონოს საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებისა და ეროვნული შერიგებისათვის, სამშობლოში მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად.

უზენაესი საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს საქართველოში შექმნილ რთულ ვითარებაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობაზე, პატიმართა თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა მუშაობას განაგრძობს.

მიმართვა მიღებულია ერთხმად.

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭო

თბილისი.
1991 წლის 5 ოქტომბერი.

ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტის პრესცენტრის ცნობა

6 ოქტომბრის დილიდან 7 ოქტომბრის დილამდე თბილისში შედარებით სიმშვიდე იყო. საქართველოს დედაქალაქი ძნელად, მაგრამ მაინც უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას.

გასული დღე-ღამის განმავლობაში ქალაქსა და მის შემოგარენში არ მომხდარა არავითარი შეტაკება ან საზოგადოებრივი წესრიგის რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა.

ქ. [illegible] სამხედრო კომენდანტის [illegible]ცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

„საგანგებო წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საგანგებო წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის 11 მუხლში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილები" შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამსახურები, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და ეროვნული გვარდიის ნაწილები".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წ. 8 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

„ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესის გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულება „ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესის გამოცხადების შესახებ".

ამ ბრძანებულების შესასრულებლად ქ. თბილისის კომენდანტის მიერ გამოცხადებული კონკრეტული წესების გარდა ახალი შეზღუდვების შემოღება მოხდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ა. ლ. ჩიტაძის ქ. რუსთავის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ავთანდილ ლავრენტის ძე ჩიტაძე ქ. რუსთავის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 7 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

გ. პ. ჩაკვეტაძის ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს გიორგი პეტრეს ძე ჩაკვეტაძე ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 7 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

თ. ს. კაკუშაძის ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ სერგის ძე კაკუშაძე ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 7 ოქტომბერი.

ვუერთდები პროტესტს

სხვა ჩემი კოლეგების ალად, მეც ხმას ვუერთებ იმ პროტესტს, რომელიც გამოითქვა [illegible] ერთი ჯგუფისათვის მწერალთა კავშირის კარის გადაკეტვის.

როგორც ინტელიგენტი, დემოკრატი, შეგინებული და შეურაცხყოფილი პრესაში, ტელევიზიაში, რადიოში და მიტინგებზე ქართული ინტელიგენციის ლანძღვით და დევნით, კატეგორიულად ვაცხადებ: თუ დაუყოვნებლივ არ შეწყდა ეს უგუნური კამპანია, ოფიციალურად ჩავებმები მათ წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში, ვინც ამ უკეთურობისა და უზნეობის მოთავეები და შემსრულებლები არიან.

მოთმინების ფიალა ავსო — ისე მოქმედებენ, როგორც 1921 წელს საქართველოში მოვარდნილი ბოლშევიკები. [illegible] რაც მოჰყვება, კარგადაა ცნობილი: ხალხის კვლავ გაბედითება და კვლავ დოგმების მონობა.

ვუცხადებ ბატონ პრეზიდენტს: ეს დარჩება სამარცხვინო ლაქად ერის განთავისუფლებისათვის ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლაში, თუ მან ახლავე არ დაუდო ზღვარი ამ უგუნურობას.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: ასაკის მიუხედავად, კიდევ შემწევს ძალა, ის მოვიმოქმედო, რასაც საჭიროდ ჩავთვლი!

თენგიზ ბუაჩიძე.

მინაწერი: დღეიდან საქართველოს კულტურის ფონდის სხდომათა დარბაზი იმ მწერალთა და სხვა ინტელიგენტთა [illegible] ვინც მშვიდობიან და გონ[illegible] შეკრებას მოისურვებს.

თ. ბ.

1991 წლის 5 ოქტომბერი.

ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას!

ბატონო პრეზიდენტო!

პუტჩი სამარცხვინოდ დამარცხდა, მაგრამ საქართველოს ქაოსი და ანარქია ემუქრება — ცრუ დემოკრატიის „ჯინი" (ანუ დემონი) ისევ „ბოთლშია დასამწყვდევი". ამისათვის დაჟინებით მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ დაითხოვოთ პარლამენტი და რესპუბლიკაში საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღოთ; ყველა ის რეგისტრირებული პარტია თუ საზოგადოება, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პუტჩში ან მხარი დაუჭირა მას, ვითარცა დანაშაულებრივი ორგანიზაციები, გამოცხადდეს კანონგარეშე (ამის პრეცედენტი უკვე გვაქვს: როდესაც საქართველოს კომპარტია მოსკოვის 19 აგვისტოს კომუნისტურ პუტჩს მიემხრო, იგი სასამართლოს განჩინებით აიკრძალა), ხოლო პუტჩის ხელმძღვანელები (მათი სია გამოქვეყ[illegible]) [illegible] როგორც რენეგატები, [illegible] რესპუბლიკის მოქალაქეობის [illegible] თანავე დატოვებულ იქნენ მოქალაქეობის გარეშე.

აღნიშნული ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში პუტჩები სეზონურ მოვლენად იქცევა საქართველოში.

პრეზიდენტის ამომრჩევლების სამიათასკაციანი ჯგუფი.

ხელმოწერების შეგროვება გრძელდება.

რედაქციისაგან: ვერაფრით დავიცალეთ ბოღმისა და გესლისაგან. თვით პრეზიდენტმა ბრძანა, ერთად გავერკვეთ სიტუაციაში, წინასწარ ნუ ვეძებთ დამნაშავეებსო, მაგრამ ჩვენ მაინც დაჟინებით მოვითხოვთ ვიღაცის დახჯას, ჩაქოლვას, გაძევებას. ამან მიგვიყვანა დღევანდელ სიტუაციამდე...

ჯერ პუტჩი არავის დაუკანონებია და ამიტომ, ჩვენ, როგორც ჟურნალისტებს, ამ მიმართვის გამოქვეყნების უფლება არც გვქონდა, იგივე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე კანონის მიხედვით. მაგრამ დავბეჭდეთ, რადგან ტელევიზიითა და რადიოთი გუშინ არაერთხელ გადაიცა ეს მიმართვა და ჩვენც გვინდოდა, გამოგვეხატა ჩვენი პოზიცია.

საზღვარგარეთ

ისრაელის პოზიცია

ისრაელი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთაგან პირველი აპირებს 1991 წლის დამლევისათვის შეუერთდეს რაკეტული ტექნოლოგიისადმი კონტროლის რეჟიმს, განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრის პრესმდივანმა დენი ნავემ.

„ისრაელი, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — სერიოზულად არის შეშფოთებული არაბული ქვეყნების რაკეტული ჯარების გაძლიერებით, რამაც შეიძლება რეგიონში შეუქცევადი გახადოს გამალებული შეიარაღება". უახლოეს ხანში, ნავეხის ცნობით, განისაზღვრება ღონისძიებანი, რომლებიც დააკონკრეტებს ისრაელის წვლილს კონტროლის რეჟიმის დაცვაში.

რაკეტული ტექნოლოგიისადმი კონტროლის რეჟიმი 1987 წლის გაზაფხულზე შემუშავდა იმ მიზნით, რომ კონტროლი აწესებოდა მრეწველობის მხრივ განვითარებული სახელმწიფოების მიერ „მესამე სამყაროს" ქვეყნებისათვის რაკეტების წარმოების ტექნოლოგიის გადაცემას. ის მოიცავს 300 კილომეტრზე მეტი სიშორის რაკეტებს, რომლებსაც შეუძლიათ 500 კილოგრამი და მეტი მასის ქობინების ტარება. რაკეტული ტექნოლოგიისადმი კონტროლის რეჟიმის მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთისათვის განსაკუთრებით გაიზარდა სპარსეთის ყურის ზონაში ომის შემდეგ, როცა ერაყმა გამოიყენა „სკად" ტიპის რაკეტები ისრაელისა და ზოგიერთი არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ვის ენდობიან ესტონეთის მცხოვრებლები

არნოლდ რიუიტელი ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დაასახელა ქვეყნის პრეზიდენტობის ყველაზე შესაფერის კანდიდატად სექტემბერში საქციო საზოგადოება ემორის მიერ მოწყობილი სოციოლოგიური გამოკითხვის 529 მონაწილიდან 85 პროცენტმა. ამავე დროს მას მხარი დაუჭირა გამოკითხულ ესტონელთა 92 პროცენტმა და არაესტონელთა 66 პროცენტმა. დიდი განსხვავებით მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა ედგარ სავისაარმა და არიუ ლაურისტინმა.

მოპასუხეთა (როგორც ესტონელთა, ისე არაესტონელთა) აზრით, ყველაზე შესაფერისი პრემიერ-მინისტრი ედგარ სავისაარი.



საბერძნეთი

სუნიონის კონცხზე აღმართულია ანტიკური საბერძნეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი ზღვების მეუფის, პოსეიდონის ტაძარი. მისმა სვეტებმა დრო გაუძლეს და დღემდე შემოგვინახეს ტაძრის თავდაპირველი მშვენიერება. ძველი საბერძნეთის მითები და ლეგენდები მოგვითხრობენ, რომ სწორედ ამ კონცხზე იდგა მეფე ეგეოსი და ელოდა თავის შვილს. ლეგენდარული თეზევსის ხომალდს, რომელიც ურჩხულებთან საბრძოლველად იყო წასული. მამას ჰორიზონტზე გამოჩენილი შვილის ხომალდის აფრები სამგლოვიარო ფერად. შავად მოეჩვენა და დარდით გულმოკლული კონცხის ქარაფებიდან ზღვაში გადაეშვა. მას შემდეგ, ლეგენდის თანახმად, ზღვას ეგეოსის სახელი ეწოდა.

სურათზე: პოსეიდონის ტაძრის ნანგრევები.

რამდენიმე სტრიქონით

საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის მინისტრის მოადგილემ ბორის ნიკიფოროვმა უარყო 3 ოქტომბერს ცენტრალური ტელევიზიის მიერ გადაცემული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სადგურ დიდუბეში საბჭოთა სამხედრო ეშელონის აფეთქება გამოიწვია რკინიგზის საკონტაქტო ქსელის დაზიანებამ და მისი ერთი ბოლოს ვაგონებზე ჩამოვარდნამ. მინისტრის მოადგილის აზრით, ეს ინფორმაცია არა სწორია, რადგან სამხედრო ეშელონის აფეთქება სხვა მიზეზით მოხდა.

ერევანში საზეიმოდ აღინიშნება სომეხი ხალხის დიდი კულტურული ძეგლის მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის" შექმნის 1500 წლისთავი. ეს წიგნი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი და სომეხი ხალხის წარმოშობის საკითხების გარდა მსოფლიო ისტორიის საკითხებსაც ეხება. მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში" მეზობელი საქართველოს შესახებაც ბევრი ცნობებია, რომელიც ქართველი ისტორიკოსების მიერ კარგად არას შესწავლილი.

უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიტოლდ ფოკინი ოფიციალური სამუშაო ვიზიტით პოლონეთს ეწვია. იგი შეხვდა პრეზიდენტ ლეხ ვალენსას, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს იან ქშიშტოფ ბელეცკის და საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკის. უკრაინასა და პოლონეთს შორის დაიდო პირველი სამთავრობო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც პოლონეთი უკრაინას მიაწვდის ნიორს, ხახვს, ბავშვებისათვის ხორცის კონსერვებს, მედიკამენტებსა და სხვა. უკრაინა კი გაუგზავნის მსუბუქ ავტომობილებს, ფერად ლითონებს, ელექტროენერგიას, სამშენებლო მასალას, რკინის მადანს და სხვა.

დასავლეთში დიდი მოწონებით სარგებლობს საბჭოთა ისტორიის სიმბოლოები. ადრე ისინი გაცილებით ძვირი ღირდა, ახლა კი „საქონლის" მოჭარბების გამო შედარებით გაიაფდა. დასავლელ კოლექციონერებსა და სუვენირის მოყვარულებს ყველაფერი აინტერესებთ, მათ შორის პარტიული ბილეთები, საბჭოთა პასპორტები, ობლიგაციები, ჩინმედლები და სახლმმართველობის ბლანკებიც კი. ასე რომ ვისაც ეს ღრომოჭმული „ფასეულობები" აქვს, ნუ იჩქარებს მათ გადაყრას, რადგან მათ შეძენაში დახარჯული თანხის ნაწილი მაინც შეიძლება დაიბრუნოს, წერს სანკტ-პეტერბურგის იუმორისტული გაზეთი „კაპიტან შოუ".

რამდენიმე დღის წინ გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა თანამემამულეებს მოუწოდა არ დაერბიათ ემიგრანტების საერთო საცხოვრებლები. გერმანიაში ხუთი მილიონი უცხოელია. გუშინ კოლის მაგალითს მიბაძა გერმანიის პრეზიდენტმა რიჰარდ ფონ ვაიცზეკერმა. ამ დღეებში მარტო რეინ-ვესტფალიის ჩრდილოეთ მიწებზე უცხოელ ლტოლვილთა ბანაკებზე თავდასხმის 16 შემთხვევა დაფიქსირდა. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მომავალში გერმანიაში უცხოელთა წინააღმდეგ თავდასხმები გაძლიერდება, რადგან ლტოლვილთა ნაკადი აღმოსავლეთ ევროპიდან არათუ კლებულობს, არამედ უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.

ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვიტაუტას ლანდსბერგისი დიდ ბრიტანეთში ჩავიდა, სადაც იგი ქვეყნის ოფიციალურ ხელმძღვანელობას შეხვდება. ქალაქ ბლეკპულში. დაგეგმილია ლანდსბერგისის სხვადასხვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან საუბარი. იუწყებიან რომ ბრიტანეთში გამგზავრებამდე ლანდსბერგისმა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა შაპოშნიკოვმა დეპეშები გაცვალეს ლიტვიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანის თაობაზე. ლანდსბერგისის მოთხოვნაა, რომ საბჭოთა ჯარები ლიტვის რესპუბლიკიდან წლის ბოლომდე გავიდნენ.

როიტერის სააგენტო ბანგკოკიდან იუწყება, რომ საბჭოთა კავშირი მასში შემავალი რესპუბლიკებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ასოცირებული წევრი გახდა. ეს ნიშნავს ფონდიდან არა ფულად დახმარებას, არამედ მხოლოდ ტექნიკურ მხარდაჭერას და კონსულტაციებს.

მოსკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირ-შეერთებული შტატების დელეგაციების კონსულტაციური ხასიათის შეხვედრები სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების დადების თაობაზე.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის როლან დიუმას განცხადებით, ახლოაღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების თაობაზე სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა შესაძლოა ოქტომბრის ბოლოს მოხდეს.

უკრაინაში ძალაში შევიდა კანონი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შესახებ. კანონის თანახმად ცვლილებები შევა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსშიც. ახლა ასეთი ჯგუფების შექმნა, მასში მონაწილეობა, იარაღით მომარაგება, ისჯება 3-დან 8 წლამდე ქონების კონფისკაციით. ხოლო თუ უკანონო შეიარაღებული ფორმირება მოახდენს თავდასხმას სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებაზე, რომელსაც მნიშვნელოვანი ზარალი და ადამიანის მსხვერპლი მოჰყვება, დამნაშავეს ან დამნაშავეთა ჯგუფს მიესჯება 10-დან 15 წლამდე პატიმრობა ქონების კონფისკაციით.

უმძიმესი ბრძოლები მიმდინარეობს ხორვატიაში, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას ცდილობს. იუგოსლავიის სახალხო არმია, რომელიც მეტწილად სერბი ეროვნების პირებით არის დაკომპლექტებული, უტევს ადრიატიკის მშვენებას დუბროვნიკს. არმიამ დაბომბა ქალაქის აეროპორტი ჩილიპე. ჩერნოგორიის რადიოს ცნობით დუბროვნიკის გარშემო ალყა ვიწროვდება, საჰაერო თავდასხმების შედეგად ნადგურდება ქალაქის უნიკალური არქიტექტურული ძეგლები. როგორც ცნობილია ეს ქალაქი იუნესკოს დაცვის ქვეშ არის. ცხარე ბრძოლებია დუნაისპირა ხორვატიაშიც. კერძოდ ქალაქები ოსიეკი, ვიკოვცი და ვუკოვარი იუგოსლავიის ავიაციის მთავარი სამიზნეებია. არ ცხრება დაძაბულობა დასავლეთ სლოვენიაში, რომელშიც მეტწილად სერბები ცხოვრობენ. ზაგრების რადიო იუწყება, რომ ფედერალური ჯარი ქალაქ სისაკს უახლოვდება.

უნგრეთის ხელისუფლებამ უფულო საბჭოთა ტურისტებს ქვეყანაში შესვლა აუკრძალა. ახლა ყველა საბჭოთა მოქალაქეს, ვისაც უნგრეთში ყოფნა სურს, დღეში 15 დოლარი უნდა ჰქონდეს. უნგრეთმა უკვე უკან დააბრუნა 113 საბჭოთა მოქალაქე და 95 ავტომობილი. ისინი ფაქტიურად წვრილმანი სავაჭრო ოპერაციებითა და თაღლითობით ირჩენდნენ თავს.

შორ მანძილზე საერთაშორისო საავიაციო გადაფრენების აღიარებული თვითმფრინავია ამერიკული „ბოინგ 747". ახლა მას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. „ეირბას ინდასტრის" კონსორციუმმა შექმნა შესანიშნავი შორი გადაფრენის თვითმფრინავი ა-340, რომლის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ფირმები. მალე ახალი აერობუსი იფრენს პარიზ-ტოკიოსა და ლონდონ-სიდნეის ხაზზე. ა-340-ს 14 საათი შეუძლია ჰაერში ყოფნა.

48 წლის პატიმარს ჯეიმს ბერის, რომელიც ალაბამის ციხეში 20 წელი ჰქონდა მისჯილი, შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მისამართით გაგზავნილი უკადრისი წერილისათვის კიდევ ხუთი წელი და 250 ათასი დოლარის ჯარიმა დაუმატეს.

ტაშკენტის კულტურის ინსტიტუტის დოცენტი უსმან კარაბაევი ამტკიცებს, რომ ინგლისურენოვან და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გავრცელებული თამაში, გოლფი, უზბეკური წარმოშობის არისო: ამ საკითხის შესწავლას დოცენტმა ხუთი წელი შეალია.

მისმინეთ

ვინ თესავს ქართველებში რუსეთის სიძულვილს?

გარკვეული ხნის უკან რუსეთის ტერიტორიაზე და უცხოეთში გავრცელდა მიმართვა, რომელშიც შემდეგი მოთხოვნები იყო ჩამოყალიბებული:

1. ბოლშევიკური ანარქიის მოსპობა და ქვეყანაში სამართლებრივი წესრიგის დამყარება.
2. ძლიერი, ერთიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა.
3. საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე სახალხო კრების მოწვევა.
4. ხელისუფლების დეცენტრალიზაციის გატარება, საოლქო ავტონომიისა და ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების გზით.
5. სრულ სამოქალაქო თავისუფლებათა და სარწმუნოებრივ თავისუფლებათა გარანტიები.
6. მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიწის რეფორმის სასწრაფო გატარება.
7. მშრომელი კლასების სახელმწიფოს და კაპიტალის ექსპლუატაციისაგან დასაცავად შრომითი კანონმდებლობის სასწრაფო მიღება.

როგორ ფიქრობთ, ვისი შედგენილი შეიძლება იყოს ეს მოთხოვნები? არა ჰგავს ცნობილი ლიბერალ-დემოკრატის ჟირინოვსკის პოზიციას?

ნამდვილად!

ჟირინოვსკიც თამამად მოაწერდა ხელს ამ განცხადებას, მაგრამ ასე არ ფიქრობს ამ დოკუმენტის ერთ-ერთი უკანასკნელი გამომცემელი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი მიხაილ კაპუსტინი, რომელმაც თავის წიგნში „უტოპიის ბოლო" (მ. 1990) დასძინა შემდეგი: „ვკითხულობთ რა მსგავს დოკუმენტს, ძნელია, იმ შთაბეჭდილების განელება, რომ იგი პრეამბულისა და ხელმოწერების გამოკლებით მორიგ ყრილობაზე წარსადგენად შედგენილია.. ვთქვათ სსრკ სახალხო დეპუტატთა რეგიონთაშორისი ჯგუფის მიერ" (გვ. 101).

ფარდა ავხადოთ საიდუმლოს! მოტანილ დოკუმენტს ხელს აწერენ რუსეთის სამხრეთის შეიარაღებული ძალების მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი დენიკინი და განსაკუთრებული სათათბიროს თავმჯდომარე, კავალერიის გენერალი დრაგომიროვი.

ხოლო თვით დოკუმენტი შედგენილია ეკატერინოდარში 1919 წლის 10 აპრილს და წარმოადგენს დენიკინისა და დრაგომიროვის მიმართვას მოკავშირე სახელმწიფოებისადმი.

ამჯერად ჩვენ არ გვაინტერესებს დოკუმენტის შინაარსისა და ჟირინოვსკის მოწოდებების მსგავსება. აქ ყველაფერი ცხადია. რუსეთის შოვინისტურ ძალებს ეზარებათ ტვინის ზედმეტი ჭყლეტა და წინაპრებისაგან მოწოდებული მზა ფორმულებით და მეთოდებით სარგებლობენ. ჩვენთვის საინტერესოა პარალელი, ასე ვთქვათ, რუსეთის დემოკრატიულ მოძრაობასთან, რაც ესოდენ ზუსტად აღნიშნა ფილოსოფიის დოქტორმა კაპუსტინმა. პატივცემული მკვლევარი რომ არ ცდება, ამაში გვარწმუნებს 1990 წლის 25 იანვრის მიხეილ გეფტერის, ლარისა ბოგორაზის, სერგეი კოვალიოვის, ვლადიმერ მაქსიმენკოს, არსენი როგინსკის, ვალერი პესიგინის, ლევ პონომარიოვის, ვიქტორია ჩალიკოვას და ვლადიმერ ევსენკოს მიერ ხელმოწერილი მიმართვის შემდეგი ფრაგმენტი:

„ჩვენ განვიცდით ჭეშმარიტად ტრაგიკულ საათებს, საფრთხე ემუქრება უკვე არა პერესტროიკას, არამედ მთლიანად ჩვენს არსებობას. ასეთ დროს ასწილად იზრდება პასუხისმგებლობა ყოველ მოქმედებაზე და ყოველ სიტყვაზე, როგორც იმ ადამიანებისა, ვინც ხელისუფლებას წარმოადგენს, ისე იმათზე, ვისაც უყვარს კრიტიკისა და დავის პოზიცია. უკვე გვიანაა აწონვა იმისა; თუ ვინაა მეტად დამნაშავე. უნდა მიღებული იქნას გადაწყვეტილება, რომელზეც არა მხოლოდ დღევანდელი თაობების ბედია დამოკიდებული, არამედ ჩვენი შთამომავლობისაც.

თვალები გავახილოთ, შევხედოთ უბედურების მასშტაბს. ის, რაც ხდება დღეს ამიერკავკასიაში, შეიძლება იქცეს, თუ უკვე არ იქცა, საბჭოთა ევრაზიის თვითდაშლის საწყისად, საწყისად მტანჯველი ძალადობით აღსავსე პროცესისა, რომელიც დამღუპველად იმოქმედებს მთლიანად მსოფლიო ვითარებაზე. ამაზე თვალის დახუჭვა დანაშაულია" „ანდრეი დიმიტრის ძე, მოგონებანი სახაროვზე". მოსკოვი „ტერრა". 1990 წ., ს. კოვალიოვის სტატია „ხვალე იქნება ბრძოლა" გვ. 37).

ძვირფასო მკითხველო, რა განსხვავებას ხედავთ საქართველოს უბოროტესი მტრების დენიკინ-დრაგომიროვის და მოსკოველ დემოკრატთა მოწოდებებს შორის? ერთადერთი განსხვავება ტერმინოლოგიაშია. ის, რასაც დენიკინ-ჟირინოვსკი რუსეთს უწოდებენ, კოვალიოვი და ძმანი მისნი საბჭოთა ევრაზიად ნათლავენ. ორივე ბანაკის სასიცოცხლო ინტერესია საბჭოთა ევრაზიის (რუსეთის) დაცვა. თუ მოწოდებათა ტექსტებში მხოლოდ ტერმინოლოგიური სხვაობაა, სამოქმედო პროგრამებში და მეთოდებში უფრო არსებითი განსხვავებები შეიმჩნევა. პირდაპირ უნდა ითქვას, დემოკრატების პროგრამა უფრო ეშმაკური და ვერაგულია.

სახაროვის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში ს. კოვალიოვის უკვე ნახსენებ სტატიაში მოყვანილია კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ფარდას ხდის მათ მეთოდს. ეს არის მოსკოველთა ერთი ჯგუფის მოწოდება „სამოქალაქო ქმედების" მოძრაობის შექმნისაკენ. მათი შეხედულებით მოძრაობა „სამოქალაქო ქმედებამ" უპირველეს მიზნად უნდა დაისახოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, რაც გულისხმობს სუვერენულ სახელმწიფოთა და ხალხთა თავისუფალ გაერთიანებას (op. ut გვ. 40).

ჯერ ერთი, გაუგებარია, რას ნიშნავს სუვერენულ სახელმწიფოთა და ხალხთა აღრევა და მათი ერთ სიბრტყეზე დაყენება. სახელმწიფო ხომ ხალხთა არსებობის ფორმაა. ასეთი აღრევა პოლიტიკოსთა მხრიდან სპეკულაციის საშუალებას იძლევა. სპეკულაციისა, რომლის ბოლოც უმრავლეს შემთხვევაში სისხლისღვრა, ტერორი, ხალხების ერთმანეთისადმი დაპირისპირება და ამ გზით მათი დაპყრობა-დამორჩილებაა. რუსეთის დემოკრატიული მოძრაობა რუსეთისა და ბოლშევიზმის დანაშაულად არ თვლის მე-19 საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა-დამორჩილებას. დანაშაულად არ თვლის იმავე საუკუნეში თავისი ელემენტარული უფლებების დასაცავად გამოსული საქართველოს მოსახლეობის უმოწყალო ჟლეტა-აწიოკებას რუსეთის ხელისუფლების მიერ. დანაშაულად არ თვლის 1921-24 და მომდევნო წლების სისხლიან, კაცობრიობის ისტორიაში იშვიათად გამოვლენილ სისასტიკეს და არაადამიანურობას. ძალის ძალათი გამოგლიჯეს რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მმართველ წრეებს თავისუფლება ბალტიისპირელებმა. გაცილებით მეტი ძალისხმევა დაგვჭირდება ჩვენ, რათა იგივემ აღიაროს თავისი დანაშაული საქართველოსა და მისი მოსახლეობის წინაშე. მოსკოვის დემოკრატიას არათუ არ უნდა ამ დანაშაულის აღიარება, არამედ ჩამოუცვამს მეგობრის, მშვიდობის მოყვასის, ადამიანის უფლებათა და დამცველის ნიღაბი და გვიტევს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების თუ თანამეგობრობის იდეით. იდეით, რომლის რეალიზაციაც ერთადერთი გარეგნულად დემოკრატიული გზაა საბჭოთა ევრაზიის ანუ იგივე დენიკინისეული რუსეთის გადასარჩენად. ამ იდეის განხორციელებას ისინი ფარისევლურად საბჭოთა კავშირის დემონტაჟს უწოდებენ. მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებიან. სახაროვმა საქართველოს „მცირე იმპერია" უწოდა. მისი მიმდევრები საბჭოთა კავშირის განვითარების შემდგომ, უახლოეს ეტაპად უკვე ამ „იმპერიის" დემონტაჟს სახავენ. ამის დასტურია ამა წლის 22 სექტემბრის გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი"-ში გამოქვეყნებული მოსკოველებისათვის ცნობილი პუბლიცისტის ქსენია მიალოს წერილი „კავშირი დანგრეულია, განთავისუფლდნენ რესპუბლიკები?" განსაკუთრებით ყურადსაღებია ამ წერილში გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: „**როგორც ჩანს, ზოგიერთი რესპუბლიკა უკვე დღეს უნდა იყოს მზად იმისათვის, რომ კავშირის დემონტაჟი არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი ზედა სართულებით. შემდეგი ეტაპი იქნება ზოგიერთი ლენინურ-სტალინური რესპუბლიკის დემონტაჟი და საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ მის ხერხზე: სამართლებრივზე თუ მკვეთრ დაწოლაზე ქვემოდან** (ანუ არამკვიდრი მოსახლეობის აჯანყებაზე. გ. მ.).

საქართველოს დემონტაჟი რუსეთის დემოკრატებს წარმოუდგენიათ ჩვენი ქვეყნიდან, უპირველეს ყოვლისა, შიდა ქართლის მთიანი ნაწილისა (ე. წ. სამხრეთ ოსეთი) და აფხაზეთის გამოყოფით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნება მათი აზრით სამართლიანობის განსახიერება, სახაროვისეული საქართველოს რესპუბლიკა. იგივეს ლაპარაკობს, სამწუხაროდ, თითქმის უკლებლივ ყველა რუსი დემოკრატი. ამის თაობაზე მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის წევრის, ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის წევრის ლევ ტიმოფეევის ზოგიერთი მოსაზრების გაცნობა მკითხველს შეუძლია ჟურნალ „ნოვოე ვრემიას" 1991 წლის სექტემბრის 37-ე ნომრის 30-ე გვერდზე.

იმ დროს, როდესაც სსრკ-ს და რუსეთის მმართველ წრეებს საქართველოს წინააღმდეგ ცივი ომი აქვთ გამოცხადებული, შიდა ქართლში ეს ომი შეიარაღებულ აგრესიაში გადაზარდეს, ხოლო სოხუმში გადასხეს დესანტი და აწყობენ შთამბეჭდავ სამხედრო თამაშობებს, ოპოზიციამ თავისი ერთ-ერთი ნათლად გამოკვეთილი ლიდერის ბ-ნი აკაკი ბაქრაძის პირით, აგრესორის ნეიტრალიზაციის პროგრამის ნაცვლად, საქართველოს მოსახლეობას შესთავაზა კანონიერად არჩეული ხელისუფლების შეცვლა პარიტეტულ საწყისებზე შედგენილი დროებითი მთავრობით, ხოლო მეორე ფრთამ მოინდომა არსებული ხელისუფლების დეზორგანიზაცია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით თუ მისი უფლებების შეკვეცისა და პარლამენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარებით.

ისტორიული პარალელები: ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იქმნება მსგავსი ისტორიული რეალობები. ახლაც ასეა, ამაში დასარწმუნებლად საკმარისია გავიხსენოთ 1912 წლის მოვლენები. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ქუთაისის გუბერნიიდან სოციალ-ფედერალისტმა ვარლამ გელოვანმა 1912 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე მოითხოვა საქართველოს პოლიტიკური ავტონომია (მიაქციეთ ყურადღება, არა სახელმწიფოებრიობის აღდგენა, არამედ პოლიტიკური ავტონომია რუსეთის იმპერიის ფარგლებში). ამ იდეას, ცხადია, არაფრით ეთანხმებოდნენ შავრაზმელი რუსები, მაგრამ ჰოი, სასწაულო, შავრაზმელ რუსებს აჯობეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა — კარლო ჩხეიძემ, ევგენი გეგეჭკორმა და აკაკი ჩხენკელმა. როგორ გაბედა გელოვანმა ასეთი აზრის გამოთქმაო, საქართველოს ავტონომია ნამდვილად ქართველების არაქართველებზე გასაბატონებლად, არაქართველების დასამაგრად უნდაო. კარლო ჩხეიძემ საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა გელოვანის რწმუნება. სოციალ-დემოკრატების გამოსვლის შემდეგ მე-4 სათათბიროს საქართველოს ავტონომიაზე საუბარი აღარ გაუგრძელებია და ეს იდეა მის კედლებში ჩაკვდა.

სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს! საქართველოს კანონიერი ხელისუფლება სახელმწიფოებრიობის უპირობო აღდგენას მოითხოვს, ოპოზიცია კი გაიძახის, რა დროს დამოუკიდებლობაა, ჯერ მიწები არ დაგვირიგებიაო: რა დროს დამოუკიდებლობაა, ჯერ კერძო საკუთრება არაა შემოღებულიო; რა დროს დამოუკიდებლობაა, როდესაც პარლამენტში ვერ მოხვდნენ ირაკლი შენგელაია, ზურაბ ჟვანია, ჭაბუა ამირეჯიბი, ლანა ღოღობერიძე, გიორგი შენგელაია, ვალერიან ადვაძე... რა დროს დამოუკიდებლობაა, როდესაც საქართველოს ხელისუფლება არ ახარებს არაქართველებს საქართველოშიო (პრაჰის ავადსახსენებელი რეზოლუცია პირდაპირ იმეორებს ქართველი სოციალ-დემოკრატების ბრალდებებს ვარლამ გელოვანის მიმართ). რაც მთავარია, დღევანდელი ოპოზიცია ქართველი პალეობოლშევიკებისა არ იყოს, მოქმედებს რუსეთისა და სსრკ ხელისუფლებასთან ერთად. ამის უეჭველი დასტურია ის, რომ საკავშირო ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები იქცნენ ქართველ დემოკრატთა ასპარეზად; არ გავა დღე, რომ რომელიმე ლიდერმა თავისი უსაზღვრო დემოკრატიით არ მოიწონოს თავი დენიკინისა და ერმოლოვის მიმდევართა წინაშე და ამით ერთგულება დაუმტკიცოს სობჩაკსა და ბონერს.

კი ბატონო! დიდი სიამოვნებით დავუთმობ ჩემს მანდატს ბატონ მიხეილ ნანეიშვილს ან ირაკლი შენგელაიას. მე მაქვს ჩემი ცხოვრება, ჩემი საქმე, რომელსაც, სამწუხაროდ, კარგა ხანია მოვწყდი, მაგრამ ამას ვაკეთებ იმ შემთხვევაში, თუ დავინახავ, რომ მათთვის მთავარი აღარ იქნება გარეგნობის წყალობით მოწოდებული ბრძნული (ხშირად სხვისი) აზრების ტელევიზიით დემონსტრირება, არამედ ჩვენამდე მოღწეული, თუმცა დაკნინებული, მაგრამ ჯერ კიდევ დიდებული რეალობის, საქართველოს შენ[illegible] დაცვა.

„მიწა გლეხებს" (ანუ მიწის რეფორმის იდეა), „ქარხნები მუშებს" (საწარმოების პრივატიზაცია, იდეა) „ძმობა, ერთობა, თავისუფლება" უკვე მოძრაულად ქცეული ლოზუნგებია. მათი განხორციელების აუცილებლობაზე ყვირილი სირცხვილია, ცუდი ტონია. [illegible] რომ არ [illegible], ბატონებო, თბილისის ქუჩებში ზარბაზანი რომ არ გამოჩენილიყო, ოქტომბრის პირველივე დღეებიდან იწყებოდა მათი განხორციელება, მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, ეს არ გინდათ სინამდვილეში. აბა სხვა რითი უნდა აიხსნას თქვენი ნამდვილი ლიდერების გაუთავებელი სირბილი მოსკოვში. და მათ მიერ არათუ თბილისის ტელერადიო დეპარტამენტის ოკუპაცია, არამედ საკავშირო ტელევიზიის „ხელში ჩაგდება".

ოპოზიცია კიდევ ერთხელ აყენებს ხალხს არჩევანის წინაშე. ვის გაჰყვება ხალხი, დენიკინის მიმდევრებს? ვფიქრობთ, რომ არა. იგი სწორედ ვარლამ გელოვანისა და ილია ჭავჭავაძის იდეებს განავითარებს. ამაში დაგვარწმუნა 30 სექტემბერს მოწყობილმა მანიფესტაციამ, რომელიც 78 წლის მანიფესტაციას თუ შეედრება მხოლოდ. დენიკინელებს თანამედროვე ორჯონიკიძეების იმედიღა დარჩათ. ეს ისტორიაც განმეორდება? ამას დრო გვიჩვენებს. ერთი კი ცხადია, რაც დრო გავა, მით უფრო შეაქცევს ზურგს რუსეთს საქართველო. ქართველებო, ფხიზლად იყავით! ვიცით ჩვენში თესავენ რუსეთის სიძულვილს, თესავენ მოსკოველნი და თბილისელნი. სიძულვილის მთესველებმა სამწუხაროდ დემოკრატიის ფერადი ტოგა [illegible] და ამით ცდილობენ ხალხის დაბრმავებას. ჩვენ უნდა ვეცადოთ მათ მიერ ნასროლი ბადე და უნდა ავაშენოთ დამოუკიდებელი საქართველო, სადაც ღირსეულ პატივს მიაგებენ ლესკოვის, [illegible] კულტურას.

გიორგი მარჯანიშვილი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

ამაზრზენი ამბების შემდეგ...

განვლილი ორი დღე მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. თბილისში დატრიალებული ძმათამკვლელი შეტაკებების შემდეგ მოიწვიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია, რომელმაც ამ ამაზრზენი ამბების შემდეგ დასაბამი მისცა დიალოგს — საპარლამენტო მსჯელობას.

ორი დღეა ჩვენი საზოგადოებრიობა ტელეეკრანის მეშვეობით ეცნობა სესიის მიმდინარეობას, გრძნობს იმ დაძაბულ ატმოსფეროს, რომელიც სუფევს სესიის დარბაზში, მაგრამ ამასთან გრძნობს დეპუტატთა სულისკვეთებებსაც, ვისზედაც არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი...

ჩვენ ვთხოვეთ უზენაესი საბჭოს რამდენიმე დეპუტატს, კომენტარი გაეკეთებინა სესიის განვლილი ორი დღის პერიპეტიებისათვის.

[illegible] ბოჩაშვილი — უზენაესი საბჭოს [illegible]:

— ჩემი აზრით, სესიის განვლილი ორი დღის მუშაობამ გაფანტა ერთგვარი შიში იმის თაობაზე, რომ პარლამენტს თითქოს აღარ შესწევს ძალა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია და რომ კონფრონტაცია უმცირესობისა და უმრავლესობის ფრაქციებს შორის ისეთ ზღვარზეა მისული, რაც შეუძლებელს ხდის ურთიერთთანამშრომლობას.

განსაკუთრებით დაძაბული იყო სესიის მეორე დღე, ბუნებრივად ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მოვლენებმა, რომლებიც უკანასკნელ ხანს მოხდა, ცხადია, გვაძლევდნენ ამის საფუძველს. აქედან გამომდინარე, ცხადია ჩვენ გვქონდა პრეტენზიები უმცირესობის ფრაქციების მიმართ, რადგან ისინი გვერდში ამოუდგნენ დესტრუქციულ ძალებს, რითაც უფრო დაძაბეს ვითარება, გააძლიერეს მათი მოქმედება და თავისი საქციელით შექმნეს ისეთი განწყობილება, თითქოს ხელისუფლების გარკვეული ნაწილი მათ უჭერდა მხარს.

საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლები კი სესიის მსვლელობის მანძილზე უარყოფდნენ იმას, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ე. წ. „ქუჩის ოპოზიციის" არაკანონიერ მოქმედებებს. რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია ყველა კონკრეტული მაგალითის ჩამოთვლა. ფაქტი ფაქტია და ამიტომაც იმაზე, რაც მოხდა, მათ მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

ასე იყო თუ ისე, სხდომაზე ნათლად გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც თვალნათლივ ხდიდა იმას, რომ თუნდაც უაღრესად დაძაბული დიალოგის ვითარებაში პარლამენტს შესწევს უნარი იმუშაოს და აკეთოს თავისი საქმე.

ბოლოს მოგახსენებთ, რომ ნათლად შევიგრძენი ის სულისკვეთება, რომ მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, ოპოზიცია ცდილობს შეიგრძნოს დღევანდელი ვითარება, დიალოგის აუცილებლობა. ეს არ არის ცოტა. რაც შეეხება მომხდარის შეფასებას, ამაზე მომავალ სხდომაზე გვექნება მსჯელობა და ვიმედოვნებ, რომ ყველანი ერთად შევეცდებით ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი და ვეძიოთ სიმართლე.

ვლადიმერ მირესაშვილი:

— ეს სესია აუცილებელი იყო: უფრო ადრეც რომ გვქონოდა შესაძლებლობა მისი მოწვევისა, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ზარბაზნებისა და თოფ-იარაღის ქვეშ პარლამენტური სხდომა არ გამოვიდა. 5 სექტემბერს კი, როცა შეიქმნა ამის შესაძლებლობა, იგი მოვიწვიეთ. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ყველა ფრაქციის წარმომადგენელი და ხელმძღვანელი მოვიდა სესიაზე, გარდა ნ. ნათაძისა, რომლის როლის შესრულებაც, როგორც ვიგრძენი, იკისრა ჩვენმა ცნობილმა რეჟისორმა ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ.

ასეა თუ ისე, უნებლიეთ თუ შეგნებით ჩვენი საპარლამენტო ოპოზიციის სამივე ფრაქცია აღმოჩნდა ბარიკადის მიღმა მეორე მხარეს, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა და შეაგულიანა „ქუჩის ოპოზიცია". მე არ შემიძლია ისინი მტრებად წარმოვიდგინო, მათაც აქვთ სრული უფლება, ჰქონდეთ თავიანთი აზრი. ისინი ბევრ საკითხში მართლები არიან, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ დადგნენ მათ გვერდით, ვინც იარაღით ხელში აპირებს ხელისუფლების დამხობას. აქ პარლამენტში ცივილიზებული წესით უნდა გადავწყვიტოთ ყველა საკითხი.

მაგალითად, ძალზე ცხარე კამათი გამოიწვია საკითხმა საგანგებო მდგომარეობის შესახებ. ყოველივე ის, რაც უკანასკნელ ხანს მოხდა ჩვენში და კერძოდ თბილისში, ცხადია, მოითხოვდა საგანგებო ზომების მიღებას. ამიტომაც იყო, რომ სესიამ, მიუხედავად ოპოზიციის/საწინააღმდეგო აზრისა, მიიღო ასეთი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება საკითხს ტელევიზიის შესახებ, ვიტყვი, რომ ის მუშაობა, რომელსაც აქამდე ეწეოდა ტელევიზია და მისი ხელმძღვანელობა, არ შეიძლება დადებითად შეფასდეს. მთელი მისი „ნამოღვაწარი" სამწუხაროდ ეკრანზე ჩანს. ანგარიში უნდა გაეწიოს ოპოზიციაში მყოფ ტელეჟურნალისტთა, აგრეთვე საზოგადოებრიობის აზრს. ფაქტია, რომ ახლა, როცა ესოდენ გვჭირს, ტელევიზიას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენი საზოგადოებისათვის, მაგრამ რატომღაც ეს ასე არ მოხდა. საყურადღებოა, რომ დაისახა მკვეთრი კონკრეტული ღონისძიებანი ტელევიზიაში სიმართლის აღდგენისათვის, რაც ვფიქრობთ, დიდად შეუწყობს ხელს ამ უბანზე ოპოზიციური აზრის დამკვიდრებასა და განვითარებას.

ერთი რამ ძალზე მოქმედებს: ნათლად გამოიკვეთა, რომ ყველა ეძებს გამოსავალს. საკითხები უნდა გადავწყვიტოთ მოლაპარაკებით, ურთიერთის აზრის გაზიარებით, მშვიდობიანად. ამისათვის იქმნება საპარლამენტო კომისია, რომელშიც დეპუტატებთან ერთად შევლენ ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც.

ეს შექმნის ნიადაგს ნაყოფიერი მოლაპარაკებისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ასე მოხდეს, იარაღი უნდა ჩაბარდეს. ეს ასე უნდა მოხდეს, თუ გვსურს მშვიდობა და ძმობა. სხვა გზა კი ჩვენ არა გვაქვს!

ელდარ შენგელაია:

— პირველმა დღემ რაღაც იმედი ჩამისახა, რომ შეიძლებოდა კომპრომისის მონახვა, დიალოგის გამართვა, შედეგის მიღწევა. მეორე დღე უმრავლესობის დაწოლით წარიმართა, ალბათ ეს იმიტომ მოხდა, რომ მანამდე „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლების შეკრება გაიმართა, სადაც, ჩემი ვარაუდით ასეთი ტაქტიკური გადაწყვეტილება მიიღეს. ამგვარი ტაქტიკის რეალიზაცია ამგვარად მესახება: დამტკიცდა საგანგებო ვითარება (რაც თავისთავად არაა კეთილი ნების ნაბიჯი — ვერ ჩაცხრობს დაძაბულობას); შემდგომ საქმე ისე წავა, რომ ოპოზიციის მოქმედებას მიეცემა სამხედრო პუტჩის კვალიფიკაცია, აქედან გამომდინარე კი, ალბათ რეპრესიები.

რადიოტელევიზიასთან დაკავშირებული საკითხები მოლაპარაკების ფაზაში გადავიდა, მაგრამ ის მოთხოვნები, რომ უმცირესობისათვის ორი საათი დაეთმოთ, არ დაკმაყოფილებულა, თუმცა მიმდინარეობს მოლაპარაკება და იმედი მაქვს, რაღაცას მივაღწევთ. ამასთანავე, მე მინდა მოვუწოდო დეპუტატებს, ერთმანეთის სიძულვილის პოზიციიდან ნუ მიიღებენ გადაწყვეტილებებს — უნდა ავმაღლდეთ პირადულ ურთიერთობებზე.

კიდევ ერთი: უბრალო მოწოდებით შევრიგდეთ და ა. შ. საქმე არ გაკეთდება. ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც უნდა დავიძრათ დემოკრატიის გზით. მე მესმის, რომ უცბად არაფერი შეიძლება. ამას დრო სჭირდება.

გელა ჩორგოლაშვილი:

საპარლამენტო ოპოზიციას [illegible] ძალისხმევა დასჭირდა, [illegible] მოწვეულიყო. ამ სისხლიანი დღეების შემდეგ უზენაესი საბჭო „გაისარჯა" და დაინიშნა სესიის სხდომა. წინასწარ ვესაუბრეთ ბატონ აკაკი ასათიანს, რადგან სესიაზე ცხადი იყო უმრავლესობა პრეზიდენტის პოზიციას დაიკავებდა, ამიტომ ვთხოვეთ სესიაზე ჯერჯერობით კენჭისყრა არ ყოფილიყო, რომ შეთანხმების საფუძველზე მიგვეღწია დღევანდელი ვითარების სტაბილიზაციისთვის.

პირველი დღის სხდომაზე პრაქტიკულად ასეც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა, ასე ვთქვათ, ჩვენდამი ტენდენციურად იგი განწყობილი, მივიღეთ მშვიდობიანი დადგენილება: მოვუწოდეთ ყველას თავი შეეკავებინათ რადიკალური მოქმედებებისაგან. მეორე დღის სხდომა აგრესიულ სიტუაციაში მიმდინარეობდა და ცალმხრივ ხასიათს ატარებდა. ჩვენგან მოითხოვდნენ ე. წ. „პუტჩის" ოპოზიციის დაგმობას. მოითხოვეს ვაჟა ადამიას შე[illegible] ფორმირების უკა[illegible] [illegible]ნი მოთხოვნები [illegible] საგანგებო მდგომარეობის გაუქმების, რადიოტელევიზიის, პრესის თავისუფლების, ეკონომიკის ლიბერალიზაციის თაობაზე — ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა — დარჩა.

საერთოდ სხვა მრავალ არაპროგრესულ მომენტებთან ერთად ისიც ნათელია, რომ უმცირესობის მიმართ არის საოცრად ნეგატიური დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას — მტრულიც:

სხდომაზე ერთი ავტობუსით წავედით, თან ბატონმა ნოდარ გიორგაძემ მიგვაცილა „ავლაბრელებთან" ერთად. ჭიშკართან ჩვენდამი აგრესიულად განწყობილი ადამიანების ჯგუფი გველოდებოდა. სხდომის დამთავრების შემდეგ ნოდარ გიორგაძემ და დილარ ხაბულიანმა მოილაპარაკეს და როგორც იქნა, გამოვედით შეიარაღებული გვარდიელებისგან შემდგარ კორიდორში. თან მათ უკან მდგომი იმ ჯგუფების უწმაწური და შეურაცხმყოფელი შეძახილები მიგვაცილებდა. ჩვენ მივმართეთ

კიდეც [illegible]ნ დილარ ხაბულიანს, ასეთი მიდგომა თანაც საგანგებო წესის დროს ხომ ელემენტარული ულოგიკობაა და აღკვეთეთ-თქო. მან ზოგიერთებში ღიმილი გამოიწვია... შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში „ნეოფაშიზმის აჩრდილი დადის".

დავით არევაძე:

როდესაც ორიოდე დღის წინ ბატონი პრეზიდენტი ტელევიზიით გამოვიდა — იმედის ნაპერწკალი გამოჩნდა.

მე მრეწველობის კომისიის თავმჯდომარე ვარ, მეცნიერი. არასოდეს არ მიმიცია ხმა რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას პარტიული ნიშნის მიხედვით. სახალხო ფრონტის სახელით ვიყავი კენჭი. კომისიას უამრავი საჭირბოროტო საქმე აქვს გასაკეთებელი. მჯეროდა, რაღაცას ვაკეთებდი. მაგრამ იმ ატმოსფეროში, რაც პარლამენტში გარეთ სუფევს, რა მუშაობაზეა ლაპარაკი. რაც შეეხება ამ სესიას, იგი არანორმალურ პირობებში ჩატარდა თვით თარხნიშვილის ქუჩის გამოც კი. მიუხედავად ისა, რომ სხდომამდე ჩვენ რამდენჯერმე ვესაუბრეთ ტელეფონით უნივერსიტეტიდან ბ-ნ პრეზიდენტს და ბ-ნ აკაკი ასათიანს გადაწყვეტილებების კონსენსუსით მიღების თაობაზე, ეს მაინც კენჭისყრით, უმრავლესობით მოხდა. საინტერესოა, რომ „მრგვალი მაგიდის" ათამდე დეპუტატმა უარი თქვა კენჭისყრაში მონაწილეობაზე — ეს მათი მხრიდან გმირობას უდრის. სხდომიდან იმედგადაწურული წამოვედი. განწყობილებაც პესიმისტური მაქვს. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ხალხის ზოგიერთი ჯგუფების აგრესიულობის გამო, ფიზიკური ანგარიშსწორებისგანაც არ ვართ ბოლომდე დაზღვეული. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ მომდევნო სესიის სხდომაზე ჩვენი წასვლა აუცილებელია. ჩვენ ყველას წინაშე ვართ პასუხისმგებელი. პირადად მიმაჩნია, რომ საქართველო დღეს კრიზისიდან რომ გამოვიდეს, ორი რამაა საჭირო:

საქართველო გახდეს არა საფრანგეთის და ამერიკის ტიპის საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა, არამედ ფედერაციული გერმანიისა;

პარლამენტში უნდა მოხდეს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კონსტიტუციური არჩევა და პრეზიდიუმის შეცვლა ან გადახალისება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი ბერწი იქნება და ის ჯანმრთელ ბავშვს ვერ შობს.

* * *

სურათებზე: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგ სხდომაზე.

გივი კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თვალსაზრისი

თავს უფლებას ვაძლევთ, მოგახსენოთ...

საქართველოში არსებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ უამრავ პრობლემას ახადა ფარდა, დაგვანახვა მათი აც-კარგი. დღემდე ძნელი დასადგენია, მართლა სურთ თუ არა დაპირისპირებულ მხარეებს შერიგება, მიტევება. ერთი მხრივ, პრეზიდენტის გამოსვლები საკმაოდ ორაზროვანი იყო — ხან ყვავილებით „ეომებოდა" ოპოზიციონერებს, ხან კიდევ საზოგადოებიდან მათ გარიყვას მოითხოვდა. თავის მხრივ ოპოზიცია, რომელშიც მრავალი პარტია თუ საზოგადოება გაერთიანებული, სხვადასხვა გზით ცდილობდა „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლაში ჩაეთრია ხელისუფლება.

განვლილმა დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს მაღალი პოლიტიკური კულტურა, თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ ხანგრძლივმა მონობამ უბრალოდ საშუალება არ მოგვცა ამ სფეროსთან სიახლოვისა. ჩვენ არ გაგვაჩნია პრეზიდენტის, პარლამენტის, მინისტრთა ინსტიტუტის და სხვა ტრადიციები. დღევანდელი ბრძოლა უმეტესად (ორივე მხარეზეა ლაპარაკი) ბოლშევიკობას გვაგონებს. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში მოჰყვება სასიკეთო ცვლილებები, ჩვენ ჯერ კიდევ დამწყები კლასის მოსწავლეები ვართ და ამიტომ უნდა შევუნდოთ ხოლმე ერთმანეთს პოლიტიკური შეცდომები.

დაპირისპირებულ მხარეებს ჩვენ, ახალგაზრდობის ნაწილმა, ერთ-ერთმა [illegible] ოფიციალურად (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" 20.09.1991 წ.) წავუყენეთ წინადადებები, რომელთაც აუცილებლად შეეძლოთ დაძაბული სიტუაციის განმუხტვა. სამწუხაროდ, ამ მიმართვას გამოხმაურება არ მოჰყოლია, გაჯიუტებული მხარეები ულმობლად ცდილობდნენ ერთმანეთის დამარცხებას. ნათლად გამოჩნდა, რომ ზიზღი, ბოღმა და არა ჯანსაღი პოლიტიკა, არა საქართველოს სიყვარული იყო მთავარი საკითხი მათი პაექრობისა. რაც მოიტანა ასეთმა საქციელმა, კარგად გამოჩნდა სისხლისღვრითა და უდანაშაულო ადამიანების სიკვდილით.

ოპოზიციის მთავარი შეცდომა, რომელიც მის ნაკლებ პოლიტიკურ განათლებაზე მიუთითებს, იყო იარაღის ხელში აღება და ამ მეთოდით ხელისუფლების დამხობის ცდა. მტკიცება იმისა, რომ ტანკი მხოლოდ მომიტინგეთა დასაცავად იყო მოყვანილი, არასერიოზულობაა.

ხელისუფლება, თავის მხრივ, თვეების განმავლობაში ცდილობდა ოპოზიციის იგნორირებას, არ აძლევდა საშუალებას ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით გამოეხატა საკუთარი შეხედულებები, პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ტელეჟურნალისტებს არ ეძლეოდათ ელემენტარული უფლება, გამოევლინათ პროფესიული ნიჭი, აიკრძალა რამდენიმე საინტერესო გადაცემა, ირღვეოდა თვით პრეზიდენტის მიერ ხელდასმული კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.

შეცდომები შეინიშნება საკადრო პოლიტიკაშიაც. აუცილებელია რადიკალური ცვლილებები ეკონომიკის სფეროში, გაუმართლებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს შექმნის ფრანგული მოდელი, თავი უნდა შევიკავოთ „სახელმწიფო კაპიტალიზმზე" ფიქრისაგან.

ხელისუფლება, რომელიც უნდა გამოხატავდეს ქართველი ერის ინტერესებს, ვალდებულია, ყოველ არსებით საკითხთან დაკავშირებით სერიოზულ დაფიქრებასა და გამჭრიახობას იჩენდეს. ეჭვი არ გვეპარება, ბოლოს და ბოლოს იგი ბრძოლას გამოუცხადებს კორუფციას, დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას, „ძლიერ ხელს" დაიჩენს მართლწესრიგის საკითხების დროულად მოგვარებას.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ დაპირისპირებულ მხარეთა შეცდომებზე. უმთავრესია არა ძახილი იმისა, რომ ქრისტიანები ვიყოთ, არამედ საჭიროა ქრისტიანულად ცხოვრება.

ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არც ერთ მხარეს არ მიეკუთვნება. იგი, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია დაკანონებული, ცდილობს მიუთითოს ხელისუფალთ დაშვებულ შეცდომებზე და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს.

ომობანისა და ამბიციური კინკლაობის დრო დამთავრდა. საჭიროა დიალოგი, ტელე-რადიოდეპარტამენტის გაფიცულ თანამშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. თუმც ადგილი ჰქონდა ცდას, მოლაპარაკება გამართულიყო და თანხმობა გამონახულიყო, მაგრამ ვერ მოხერხდა, და ეს ორივე მხარის ბრალია.

თავს უფლებას ვაძლევთ, მოგახსენოთ:

1. თუ ტელე-რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას, გაფიცულ ჟურნალისტებს და ხელისუფლებას არ შესწევთ უნარი გადაწყვიტონ საჭირბოროტო საკითხები, მაშინ ნება მოგვეცით, ჩვენ წარმოვადგინოთ წინადადებების პაკეტი, რომელიც, ვფიქრობთ, ორივე მხარისთვის მისაღები იქნება. თანხმობის შემთხვევაში (გვაცნობეთ პრესის საშუალებით) მოვითხოვთ, შეხვედრას დაესწრონ ბატონები ზ. გუგუშვილი, თ. ქორიძე და ნ. ნათაძე.
2. ინფორმირებული ვართ, რომ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება გაემგზავრა შიდა ქართლში ქართული მიწისა და მოსახლეობის დასაცავად. ხელისუფლებამ სასწრაფოდ გაგზავნოს გვარდიის ნაწილები ზემოთ დასახელებულთა და სამაჩაბლოელთა დასახმარებლად.
3. პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ გადადგას ენერგიული ნაბიჯები, რათა უმოკლეს ხანში დაიწყოს მოლაპარაკება რსფსრ-ს ხელმძღვანელობასთან საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის შესახებ.
4. პრეზიდენტმა დაითხოვოს უზენაესი საბჭო და არჩევნები დაინიშნოს არაუგვიანეს პირველი მარტისა, მხოლოდ და მხოლოდ მაჟორიტარული პრინციპით.
5. განთავისუფლდნენ პატიმრობიდან გ. ჭანტურია და გ. ხაინდრავა.

საქართველოს ახალგაზრდობის ნაწილის სახელით:

გიორგი ტაბიძე,
არჩილ მორჩილაძე,
კახაბერ აბდალაძე,
დავით! ნიკოლაიშვილი.

მიწისძვრა საქართველოში

● **[illegible] ოქტომბერს**, ადგილობრივი დროით 4 საათსა და 46 წუთზე, საქართველოში მოხდა მიწისძვრა. იგი თბილისში იგრძნობოდა საერთაშორისო სეისმური ინტენსიურობის სკალის 3-4 ბალის, ბოგდანოვკაში — 5 ბალის სიძლიერით.

— მიწისძვრის ბიძგის ეპიცენტრი მდებარეობს რესპუბლიკის [illegible] სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 130 კილომეტრის დაშორებით, თურქეთის ტერიტორიაზე, ჩილდირის ტბის რაიონში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტ კოტე ცხომელიძეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის საცდელი მეთოდური გეოფიზიკური ექსპედიციის უფროსმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გურამ შენგელაიამ. — აქ მიწის რყევა 6-7 ბალს აღწევდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მიწისძვრას არ გამოუწვევია შენობებისა და ნაგებობათა ნგრევა ან დაზიანება.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის სახტელერადიოდეპარტამენტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

ა. წ. 4 ოქტომბერს საქართველოს ტელევიზიის პროგრამა „მოამბე"-ში გადაიცა, ხოლო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ა. წ. 5 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციისა და მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების ფასების მოწესრიგების შესახებ". ტელეგადაცემაში ასევე გამოქვეყნებულ ტექსტში (მე-5-ე მუხლის მე-3 აბზაცში) უნებლიეთ გაიპარა შეცდომა. კერძოდ, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სარეალიზაციო ყოველ ტონა ვაშლზე დაწესებულია ბიუჯეტში გადასახდელი 1200 მანეთი (და არა 2000 მანეთი), ხოლო მანდარინზე 1500 მანეთი (და არა 3000 მანეთი).

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო.

იუბილე

გალაკტიონი ერთადერთია

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მეფედ აღიარებული გალაკტიონ ტაბიძე ასი წლისა ხდება. თანამედროვეებს კარგად ახსოვთ იგი, თითქოს გუშინ იყოო, თითქოს ისევ გვესმის მისი ფეხის ხმა, ისევ ჩაგვესმის მისი საოცრად განსხვავებული ხმა... გალაკტიონის პოეზიამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ყველა ქართველის გულში, რამეთუ მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი ლექსი შეუნელებლად გვაღელვებს და აგვამაღლებს, სულ სხვა სამყაროში დაგვასახლებს, საგნებსა და მოვლენებს სხვა თვალით შეგვახედვინებს. ცოცხლობენ, არ ბერდებიან, არ ჭკნებიან გალაკტიონის სტრიქონები, რომლებიც ასე მშობლიურია, იქ შენი სისხლი და ხორციცაა, ისინი შენი კანონიერი სიამაყეა. და არ არსებობს ქვეყნად ძალა, ამ სიამაყის გაფერმკრთალება რომ შეძლოს, რადგან პოეტის უბრწყინვალესი მემკვიდრეობა — საკაცობრიო იდეალებით დამუხტული, დიახაც რომ ამშვენებს ქართულ კულტურას და მას მსოფლიოს ხალხთა უდიდეს კულტურებს შორის გამორჩეულ ადგილს მიუჩენს. გალაკტიონი ერთადერთია, — ვიმეორებთ ჩვენ პოეტის სიტყვებს და სრულებითაც არ გვეჩვენება ისინი გაზვიადებულად. „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი" — ბრძანებდა პოეტი. და თავისი ქმნილებებით ადასტურებდა ამ ნათქვამს, ჭეშმარიტად!

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა!" — წინასწარმეტყველური აღმოჩნდა პოეტის ეს სიტყვები. თანამედროვენი ღირსეულ პატივს მიაგებენ საუკუნის უდიდეს პოეტს, ახალგაზრდობა ხარბად ეწაფება მის ბრძნულ, ნათელ, უმშვენიერეს პოეზიას, ხვდება პოეტის ამაღლებულ სამყაროში, სულიერად იწმინდება და ფაქიზდება.

„მთაწმინდის მთვარის", „ლურჯა ცხენების" და სხვა მრავალ შედევრთა ავტორი დიახაც რომ რჩეულთა შორის რჩეულია და დღეს მის შთამომავლებს უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმ უდიდესი შემოქმედებითი მემკვიდრეობით, გალაკტიონის პოეზია რომ ჰქვია. გალაკტიონს 100 წელი წლეულს უსრულდება. მაგრამ რესპუბლიკაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია დღესდღეობით ქართველ ერს სადღესასწაულოდ ვერ განაწყობს. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება გალაკტიონ ტაბიძის 100 წლისთავი აღინიშნოს გაისად.

დამტკიცდა საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა, ასევე იუბილეს მომწყობი კომისიის შემადგენლობა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მუხრან მაჭავარიანის თავკაცობით. კომისიაში შევიდნენ ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა ითვალისწინებს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მრავალტომეულის, პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიის, სხვადასხვა ენებზე თარგმანების, საიუბილეო ერთჯერადი გაზეთის, პლაკატის მომზადებასა და გამოცემას. პოეტისადმი მიძღვნილი მასალები გამოქვეყნდება იუნესკოს ბეჭდვით ორგანოებში.

ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში კაპიტალურად შეკეთდება გალაკტიონის სახლ-მუზეუმი, კეთილმოეწყობა მისი ტერიტორია, მისასვლელი გზა, განახლდება ექსპოზიცია, მუზეუმი აღიჭურვება ავეჯითა და ინვენტარით, მოეწყობა ბიბლიოთეკა, გამოვა მუზეუმის გზამკვლევი და პოეტისადმი მიძღვნილი ბუკლეტი.

საიუბილეოდ მოეწყობა მრავალფეროვანი გამოფენები, რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის დაწესებულებებში გაიმართება მასობრივი ღონისძიებები, სამეცნიერო სესიები, გამოვა გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებების გრამფირფიტები.

საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართება საიუბილეო სხდომა, საიუბილეო საღამოები მოეწყობა ასევე ქუთაისში, ვანში, ბათუმში, სოხუმში, გორში, ზუგდიდში, თელავში, რუსთავში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

საიუბილეო დღესასწაულების გვირგვინი იქნება საიუბილეო საზეიმო სხდომა თბილისში, რომელსაც მოაწყობენ საიუბილეო კომისია, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და თბილისის მერია.

გალაკტიონ ტაბიძის 100 წლისთავის იუბილე უნდა იქცეს ჩვენი ეროვნული კულტურის ჩინებულ დღესასწაულად.

საქინფორმი.

დაერქვას წამებული გმირის სახელი

ძვირფასო რედაქციავ! ქ. თბილისში პირველი მაისის ქუჩის მცხოვრებნი გთხოვთ დახმარებასა და შუამდგომლობას სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ჩვენს ქუჩას დაერქვას საქართველოს ერთიანობისათვის წამებული გმირის გივი (გია) ვახტანგის ძე აბესაძის სახელი, რომელიც ამ ქუჩაზე ბოლო 11 წლის მანძილზე ცხოვრობდა.

პირველი მაისის ქუჩის მცხოვრებთა სახელით:

ჟიჟიანი, ბალანჩივაძე, ნერსესოვი, დავითაშვილი, დავითულიანი, ბუზიკაშვილი, გამცემლიძე, ნიშნიანიძე, ამილახვარი, იმნაშვილი და სხვები.

ჭადრაკი

ამჯერად ყაიმი

მანილაში გრძელდება მსოფლიოს პირველობაზე მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და სიე ჟუნს შორის. მეექვსე პარტიაში რომელშიც თეთრებით მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობდა, მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ 24-ე სვლაზე. ამრიგად, ანგარიში გახდა 3,5:2,5 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მეშვიდე პარტია დანიშნულია ოთხშაბათისათვის.

მოგვყავს ჩიბურდანიძე — ჟუნის მატჩის მეხუთე პარტიის ჩანაწერი.

თეთრები: სიე ჟუნი
შავები: მაია ჩიბურდანიძე.

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 d6 5. c3 კd7 6. d4 მge7 7. კb3 h6 8. მa3 მg6 9. მc4 კe7 10. მe3 0-0 11. 0-0 ლc8 12. მd5 კd8 13. de de 14. კe3 კe6 15. კc5 ეe8 16. კa4 b5 17. კc2 მb8 18. a4 მbd7 19. კe3 c6 20. მb4 მf6 21. ლd6 კe7 22. ლd2 ეd8 23. ლc1 c5 24. მd3 ლc7 25. ab ab 26. ეe1 ე:a1 27. ლa1 მg4 28. ლa6 კc4 29. მc1 ეd6 30. ლa8+ მფh7 31. h3 კ:e3 32. ე:e3 კe6 33. მd3 ეd8 34. ლa6 c4 35. მb4 კc5 36. ეe1 კ:b4 37. cb c3 38. ლa1 ეc8 39. კd3 მf4 40. კ:b5 c2 41. ეc1 ლb7 42. კf1 ეa8. ამ მდგომარეობაში თეთრები დანებდნენ.

მთავარი რედაქტორი [illegible]

მისამართი: 380096, თბილისი, [illegible] კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26,
[illegible] რედაქტორი 99-73-24.
[illegible]
[illegible] ქ. № 29.
[illegible]

საქართველოს რესპუბლიკა